# ახალგაზრდა ივერიელი

გამოდის 1921 წლიდან

28 მარტი ხუთშაბათი 1991 № 36 (11669)

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი ფასი 10 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## პირველი კოსმოსური ზარი



მრავალი შეჭირვების მიუხედავად, ჩვენი თაობა და საერთოდ ისინი, ვინც ახლა ცხოვრობენ საქართველოში — ბედნიერები არიან. თითქმის ყოველი წუთი ისტორიულია, თითქმის ყოველი დღე მოსაყოლი გვაქვს შვილიშვილებისათვის... 26 მარტიც ასეთი დღე იყო... რუსთაველის გამზირის 31 ნომერში, მთავარი ფოსტამტის სახურავზე გაისმა პირველი კოსმიური ზარი — ბატონიშვილი გიორგი ესპანეთიდან გვილოცავდა საქართველოში კოსმოსური კავშირგაბმულობის დაარსებას. ამიერიდან საქართველოს ხმა თავისუფალ სამყარომდე დაუბრკოლებლად, პირდაპირი ხაზით მიაღწევს.

აღარ შევუდგებით იმის განმარტებას თუ რაოდენ მნიშვნელოვანია დღეს მართალი ინფორმაცია — ინფორმაცია ყოველგვარი მოსმენისა და ცენზურის გარეშე... ამიტომ იყო ეს დღე ისტორიული და მართლაც მოსალოცი.

უდიდესი წვლილი ბატონ ფელიქს ტყებუჩავას მიუძღვის — საერთაშორისო აღიარების მქონე



მეცნიერს, სოხუმის უნივერსიტეტის რექტორს, საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის მინისტრს. მან 4 თვეში მიაღწია პირველი პარაბოლური ანტენის დადგმას საქართველოში (რამდენიმე ხანში მას მეორე და მესამეც მოჰყვება).

საზეიმო გახსნის შემდეგ, რომელსაც ბატონი ზვიად გამსახურდია და რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელებიც ესწრებოდნენ, გაიმართა პრესკონფერენცია ბატონ ფელიქს ტყებუჩავასთან.

ჯერჯერობით ამგვარი კავშირით მხოლოდ მთავრობა და საინფორმაციო საშუალებები ისარგებლებენ. მერე და მერე — მოსახლეობისთვისაც ხელმისაწვდომი გახდება.

პროექტი განხორციელდა კორპორაცია „ვიდეოტელ ატლანტიკ კორპორეიშენთან" ერთად. აპარატურის ნაწილი ავსტრიულია, ნაწილი — ამერიკული.

აღსანიშნავია ისიც, რომ კოსმოსური კავშირგაბმულობა ჯერ არც ერთ რესპუბლიკას არ აქვს.

როგორც ბატონმა ფელიქსმა აღნიშნა, ამ იდეამ უდიდესი ბრძოლა გადაიტანა. ბრძოლა კი მოგებულად მხოლოდ იმ წუთს ჩათვალეს, როცა პირველი ზარი გაისმა...

დამოუკიდებელი კომუნიკაცია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მთავარი ელემენტია. იქნებ არც 9 აპრილი მომხდარიყო, არც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტრაგედიები — მართალი, პირდაპირი ინფორმაცია რომ ძიელო მსოფლიოს. იქნებ...

ხოლო საქართველოს პრეზიდენტის პირდაპირი, უმოსკოვო საუბარი გიორგი ბატონიშვილთან სულ უფრო გვარწმუნებს და გვაახლოვებს სანუკვარ დამოუკიდებლობას.



**საკუთარი ინფორმაცია**

**საქინფორმის ფოტოქრონიკა.**

## ოფიციალური ინფორმაცია

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი შენობა (მაჩაბლის 11) მთელი თავისი სათავსოებით ა. წ. 26 მარტიდან გადასცა საქართველოს მწერალთა კავშირს.

●

**საქართველოს** რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით მიმდინარე წლის 31 მარტიდან საქართველო გადადის ზაფხულის დროზე. ამ დღეს ზუსტად 2 საათზე საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საათის ისრები უნდა გადაიწიოს 1 საათით წინ.

●

**საქართველოს** რესპუბლიკის მთავრობამ **მურმან მელიტონის ძე ომანიძე** დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის მინისტრის პირველ მოადგილედ და გაათავისუფლა იგი ამავე სამინისტროს მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ **ბორის გიორგის ძე კალანდია** დანიშნა საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ.

---

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი

საბჭოს პრეზიდიუმმა პრეფექტად დანიშნა

**ცაგერის რაიონში ტარიელ ზურაბის ძე ალავიძე**

---

## აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ვ. არძინბას

**საქართველოს** რესპუბლიკის კონსტიტუციის 79, 82, 104 (პ. 8) და „რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად განახორციელეთ საჭირო ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოთ აფხაზეთის ასს რესპუბლიკის ტერიტორიაზე საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობის გამოკითხვის მოწყობა, რომელიც 1991 წლის 31 მარტისათვის დანიშნულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 28 თებერვლის № 166-1 დადგენილებით.

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე**
**ზ. გამსახურდია.**

**1991 წლის 25 მარტი.**

## რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი

1) **1991 წლის** აპრილის მანძილზე ხელმოსაწერად მომზადდეს რუსეთის სფსრ და საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულების პროექტი, რისთვისაც შეიქმნას სამუშაო ჯგუფები.

• • •

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში ვითარების სტაბილიზაციისათვის ერთობლივი მოქმედების შეთანხმების შედეგად მხარეები მორიგდნენ:

2). რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 დღეში შექმნან ერთობლივი კომისია აღნიშნულ რეგიონში ვითარების შესასწავლად და მიმდინარე წლის 20 აპრილამდე სიტუაციის ობიექტურად შეფასების მიზნით.

3). რუსეთის სფსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ 10 აპრილამდე შექმნან მილიციის გაერთიანებული რაზმი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ყველა უკანონო ფორმირების განსაიარაღებლად. ამ რაზმს დაევალება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა მოცემულ ტერიტორიაზე ვითარების სტაბილიზაციამდე.

4). სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს წინადადება მიეცეს გაიყვანოს ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიიდან აქ დისლოცირებული საბჭოთა არმიის ნაწილები.

5). რუსეთის სფსრ, საქართველოს რესპუბლიკის და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მინისტრთა საბჭოებმა დაუყოვნებლივ დაიწყონ საიმისო მუშაობა, რომ ლტოლვილებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების პირობები შეექმნათ. უზრუნველყონ ადგილობრივი ხელისუფლების კანონიერი ორგანოების აღდგენა.

6). საქართველოს რესპუბლიკის, რუსეთის სფსრ და ჩრდილოეთ ოსეთის სსრ მთავრობებმა შექმნან ლტოლვილებისათვის მიყენებული ზარალის შემფასებელი კომისია და დამატებითი მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური სახსრები გამოჰყონ ამ ზარალის ასანაზღაურებლად.

7). შექმნილი კომისიებისა და რაზმების საბოლოო ამოცანად ჩაითვალოს რეგიონში მშვიდობისა და სიმშვიდის აღდგენა.

8). შეიქმნას მუდმივი ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ამ ოქმის შესრულებას და განიხილავს წამოჭრილ მიმდინარე საკითხებს.

| | |
|---|---|
| **რუსეთის სფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე** | **საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე** |
| **ბ. ელცინი.** | **ზ. გამსახურდია.** |

**დაბა ყაზბეგი. 1991 წ. 23 მარტი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რუს დამპყრობელს — არა

## მიმართვა ქურთ-ეზიდი ხალხისადმი

ქართველი და ქურთი-ეზიდი ხალხების ერთობას შორს, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის, ბაგრატიონთა სამეფო ტახტის სიძლიერის, სპასალარი-მხარგრძელების ხანაში აქვს ფესვი გადგმული.

ამ პერიოდიდან მოყოლებული ჩვენს ხალხებს ჭირი და ლხინი საზიარო ჰქონდათ; არ გაყოფილა მათი ინტერესები ძლიერი მტრის საქართველოზე შემოტევისას; არც მოღალატურ სიმდიდრეს, ქონებასა და ჩინს მოუხიბლია ქურთი-ეზიდი ხალხი ქართველებთან დასაპირისპირებლად; ქართველ მეფეთა ქვეშევრდომები, ერთგულებითა და სიმტკიცით ადასტურებდნენ საქართველოსა და ქართველი ხალხის სიყვარულს — ქართულად მეტყველებდნენ, ქართულ ადათზე იზრდებოდნენ, საკუთარი რწმენის მტკიცედ დამცველნი — ქრისტეს რჯულისადმი პატივისცემას არ ივიწყებდნენ; სწორედ ამ სარწმუნოებრივ სინთეზში იქმნებოდა ის კოლორიტული სახე — ნამდვილი ქურთი-ეზიდი მშრომელისა, რომელიც დღემდე შემორჩა თბილისის ქუჩებს.

ქურთი-ეზიდების მიერ ქართველთა გაჭირვებაში მიტოვების, ბრძოლის ველიდან გაქცევის ვერც ერთ შემთხვევას ვერ შევხვდებით საქართველოს ისტორიის ფურცლებზე, რამეთუ ეს ხალხი უმადური არ შეიძლება იყოს ერისა, რომელმაც მას გულისა და სახლის კარი ერთნაირად გაუღო, ძმად და მეზობლად მიიღო, სიყვარული და სითბო გაუნაწილა. ქურთი-ეზიდი არ დაიტაცებს, არ წაართმევს, უმართებულო პრეტენზიას არ განაცხადებს იმაზე, რაც არ მოუტანია, თავად არ ჰქონია და მასპინძელმა თავისი მაღალი ზნეობის, კულტურისა და სტუმართმოყვარეობიდან გამომდინარე — საკუთარი ინტერესების შევიწროების ხარჯზე, უწილადა. ამიტომ, ჩვენ ქურთმა-ეზიდმა ხალხმა საქართველოს მიწა-წყალზე მცხოვრებ არაქართველთა გარკვეულ პრეტენზიებს, რაც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას საფრთხეს უქმნის, მხოლოდ უმადურობა და ღალატი შეიძლება ვუწოდოთ, ვინაიდან იმპერიის გარეთ არსებული დამოუკიდებელი საქართველო, ერთნაირად სიკეთისმომტანი იქნება ქართველებისა და მის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვა ერებისათვის. ამაში ჩვენ ქართული სამეფოსათვის დამახასიათებელი რელიგიური შემწყნარებლობა — თბილისში გვერდიგვერდ მოქმედი მეჩეთი, სინაგოგა, ეკლესია და საქართველოს ისტორიაში არსებული უამრავი სხვა მაგალითი გვარწმუნებს.

თანამემამულენო!

ჩვენ, მრავალ ქურთ-ეზიდს, სწორედ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩამოგვიყალიბა პოლიტიკური მრწამსი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჩვენი წვლილი საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ძალზე მოკრძალებულია, მაგრამ ვთვლით, რომ სწორად ვცხოვრობთ, გვაქვს ჩვენი სამშობლო — საქართველო, გვყავს ახლობლები — ნათესავები და მეგობრები, თანამემამულენი, რომელთა დღევანდელობა და მომავალი ჩვენი საზრუნავიცაა, რამეთუ სწორედ ამ იმპერიული პირამიდისაგან დაჩაგრული და დამონებული საზოგადოების განუყოფელი ნაწილი ვართ ჩვენც, იმ საზოგადოებისა, რომელიც თავისუფლებისაკენ ისწრაფვის; ჩვენ კი — განზე მდგომ არაქართველებს არ გვექნება მორალური უფლება ვიცხოვროთ მხოლოდ ქართველთა ბრძოლით მოპოვებულ თავისუფალ საქართველოში.

დიახ! უნდა ვიბრძოლოთ, და 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ხმის მიცემა სწორედ ის ბრძოლის ველია, სადაც რუს დამპყრობელს უნდა ეთქვას „არა“ სადაც კიდევ ერთხელ უნდა გაბრწყინდეს ქართველი და ქურთი — ეზიდი ხალხების მზისაკენ ხელიხელჩაკიდებული სიარული, რამეთუ მზე ერთნაირად ჰფენს სხივებს სითბოსმოყვარულ ხალხებს.

**კახა მანთაშევი,**
**საქართველოს მონარქისტული (კონსერვატიული) პარტიის წევრი.**

31 მარტის რეფერენდუმისათვის

# ეროვნული დემოკრატები და დამოუკიდებლობის აქტი

**საქართველოს** რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სიმბოლოები—დროშა და გერბი სახელმწიფო სიმბოლოებად აღიარა და ამით თავი 1918 წლის 26 მაისს შექმნილი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემკვიდრედ გამოაცხადა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 28 თებერვლის დადგენილებით 31 მარტს საქართველოში ჩატარდება რეფერენდუმი „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის თაობაზე“ ერთადერთი კითხვით: „თანახმა ხართ თუ არა აღდგეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე“. ამ აქტში კი ნათქვამი არის, რომ 1) **„ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა. 2) დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა“.**

საქართველომ დამოუკიდებლობის აქტით აღადგინა XIX საუკუნის დასაწყისში დაკარგული სახელმწიფოებრიობა. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. 1801 წლის შემდეგ რუკიდან თანდათან ქრებოდნენ ქართული სამეფო-სამთავროები; მოისპო ქართული სახელმწიფოებრიობა და საქართველო რუსეთის კოლონია გახდა. ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ქართული სახელმწიფოებრიობისათვის, ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლა იყო, რადგან ერის არსებობა ეროვნული სახელმწიფოს ან ამ სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლაში გამოიხატება.

XX საუკუნეში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ პოლიტიკური პარტიები, რომლებმაც ეროვნული საკითხი თავიანთი მოღვაწეობის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად გამოაცხადეს. ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა მიზანსწრაფული იყო, სადაც მარცხი და წარმატება ურთიერთს ენაცვლებოდა, მაგრამ მოძრაობა აღმავალი ხაზით მიდიოდა და ყველა წარმატება მნიშვნელოვან ეტაპს ქმნიდა ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ქართველი ხალხის ასეთი ბრძოლის მრავალი მოვლენა, ისტორიული ფაქტი მიჩქმალული იყო და მათზე ან არ წერდნენ, ან ისეთ შეფასებას აძლევდნენ, რაც სრულიად არ პასუხობდა ქართულ ისტორიული პროცესის ჭეშმარიტ გაგებას.

ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლის ისტორიაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა მიერ 1904 წელს ჟენევაში მოწვეული კონფერენცია, სადაც მოხდა ერის ბედზე მოფიქრალ და მზრუნველ პოლიტიკურ ძალთა გაერთიანება. ამ კონფერენციაზე დაისახა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის, საქართველოს ავტონომიისათვის ბრძოლის გზები.

1909-1910 წლებში გაზეთ „ერის“ გარშემო შემოიკრიბა საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ერთი ჯგუფი (იაკობ გოგებაშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, პეტრე სურგულაძე, დავით ვაჩნაძე და სხვ.), რომელმაც, ჟენევის კონფერენციისაგან განსხვავებით, საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის იდეა წამოაყენა. ამ ჯგუფის ერთი ნაწილი საზღვარგარეთ გაემგზავრა და იქ „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ შექმნა. ეს „კომიტეტი“ ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დამხმარედ უცხო ძალა (უპირველესად რუსეთის მოპირისპირე გერმანია) მოეზიდა.

1912 წელს რუსეთის IV სათათბიროს ტრიბუნიდან ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის დეპუტატმა ვარლამ გელოვანმა საქართველოს სახელმწიფოებრიობის, საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა გამოაცხადა. ეს მაშინ დიდი ისტორიული მოვლენა იყო. სახელმწიფო დონეზე ქართველმა ხალხმა ოფიციალურად პირველად მოითხოვა ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის წინა ხანებში მოხდა ქართველი სოციალ-დემოკრატების მიერ ქართული ეროვნული საკითხის ოფიციალური აღიარება. პოლიტიკური პარტიის მიერ ეროვნულ საკითხში პროგრამის შეცვლას მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათა რიგში იმიტომ ვაყენებთ, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პარტია მაშინდელი საქართველოს პოლიტიკურ მიმდინარეობათა შორის ყველაზე ძლიერი, ანგარიშგასაწევი ძალა იყო. მის შემადგენლობაში გაერთიანებული იყო კარგად ორგანიზებული რამდენიმე ათეული ათასი კაცი, პერიოდულ გამოცემათა ფართო ქსელით. ამ პოლიტიკურ მიმდინარეობას გავლენა ჰქონდა თითქმის ყველა სოციალურ ფენაში. სოციალ-დემოკრატიული პარტიის გარეშე ქართული ეროვნული საკითხი, საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმე ვერ გადაწყდებოდა. 1917 წლის დასაწყისში ქართველ სოციალ-დემოკრატთა კონფერენციამ, რომელიც სოფელ ჯუნჯუათში გაიმართა, დაადგინა, რომ უნდა გამოცხადებულიყო საქართველოს დამოუკიდებლობა, თუკი დადგებოდა საამისო პირობები.

ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარე პირობებს, რომელიც 1917 წელს შეიქმნა. თებერვლის რევოლუციის შედეგად რუსეთში შეიქმნა დემოკრატიული სახელმწიფო. ამან დიდად შეუწყო ხელი ქართული სახელმწიფოს აღდგენისათვის ბრძოლას.

ქართული სახელმწიფოსათვის ბრძოლაში არსებითი როლი შეასრულა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ, რომელიც თავისი პროგრამით და მოღვაწეობით თავიდანვე საქართველოს დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის პოზიციაზე იდგა. უკვე 1917 წლის მარტში ეროვნულ-დემოკრატები გამოვიდნენ რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევის წინააღმდეგ. გაზეთი „საქართველო“ წერდა — „ქართველ ხალხს კაცებიც ჰყავს და თვითონაც აქვს ამის შნო, რომ დამფუძნებელი კრება თავის ქვეყანაში გამართოს და თავისი ეროვნული მთავრობა გაიჩინოს, რომ ენა ქართველი ერის საქართველოს ისტორიულ საზღვრებში გაახელმწიფოს“. ეროვნულ-დემოკრატები იყვნენ ის ქართველი მოღვაწენი, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს საქართველოს პოლიტიკურ ძალთა გაერთიანების საქმეში. მათ ყველაზე ადრე დაინახეს, რომ უკვე მომწიფდა სიტუაცია და შეიძლებოდა ფიქრი და ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. „ქართველი ერი გონს მოდის და მან მწვავედ იგრძნო რა განსაცდელი ადგია კარს მის მამულ-დედულს. თანდათან შეგნება შედის ხალხში და თავდაცვის სურვილი იღვიძებს მასში“. — წერდა 1917 წლის იანვარში ეროვნულ-დემოკრატთა გაზეთი „საქართველო“.

ეროვნულ-დემოკრატთა მეცადინეობით 1917 წლის აპრილში შეიკრიბნენ საქართველოს პოლიტიკურ ძალთა წარმომადგენლები და შექმნეს საქართველოს ინტერპარტიული საბჭო. იმავე წლის ზაფხულში, — 12 აგვისტოს, შედგა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს დამფუძნებელი კონფერენცია. ინტერპარტიულ საბჭოში გაერთიანდნენ სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, ეროვნულ-დემოკრატები და სოციალისტ-რევოლუციონერები (ესერები). ბოლშევიკებმა უარი თქვეს საქართველოს ბედზე მზრუნველი ორგანოს მუშაობაში მონაწილეობის მიღებაზე და მას „ნაციონალისტთა“ თავყრილობა უწოდეს. ინტერპარტიული საბჭოს ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან, საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობითმა ორგანომ, მოიწვია და ჩაატარა საქართველოს ეროვნული ყრილობა. საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ „საქართველოს ყველა პარტიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიურ დაწესებულებათა წარმომადგენელთა სახით“ 1917 წლის ნოემბერში აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო, რომელმაც ითავა საქართველოს მეთაურობა და 1918 წლის 26 მაისამდე უძღვებოდა საქართველოს, როგორც მისი არაოფიციალური მთავრობა. 1918 წლის მაისში დაინგრა ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფო, რომელსაც სხვებთან ერთად ასე გულმოდგინებით აშენებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები. მათ დაინახეს, რომ ასეთი სახელმწიფოს არსებობა ისტორიულად უაზრობა იყო და რომ საქართველოს გადასარჩენად აუცილებელი იყო დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა.

1918 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საზეიმო ვითარებაში გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და შექმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი მთავრობა. ეროვნული საბჭო აღმასრულებელი ორგანოდან საკანონმდებლო ორგანოდ იქცა. ნოე ჟორდანიამ ეროვნული საბჭოს სხდომაზე იმ დღეს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა, რომ **„საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთი ხალხის, არც ერთი სახელმწიფოს წინააღმდეგ. მისი მიზანია დღევანდელი ისტორიული ქარტეხილისაგან დაიფაროს თავი“.** მაშინ შეიქმნა ისეთი ქართული სახელმწიფო, რომელიც თავისი წყობით, არსით სავსებით მიესადაგებოდა თანამედროვეობას. ზოგჯერ კი წინაც უსწრებდა. საქართველოს რესპუბლიკა ის სახელმწიფო იყო, რომელსაც პირველი სოციალ-დემოკრატიული მთავრობა ედგა სათავეში. ასეთი სახელმწიფო ამავე დროს იყო ქართული ისტორიული პროცესის ბუნებრივი გაგრძელება. 1918 წლის 26 მაისის აქტი ქართველი ერის ისტორიაში დიდი ტეხილი იყო, რომელზედაც ქართველი ხალხი ყოველთვის ორიენტირს უნდა იღებდეს. დღეს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის მებრძოლი ქართველი ხალხი უნდა იყოს მემკვიდრე იმ სახელმწიფოსი და იმ ტრადიციებისა, რომელმაც თავისი არსებობის ხანმოკლე პერიოდში დიდი ისტორიული როლი შეასრულა. მაშინ ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები ერთგულნი იყვნენ რა დამოუკიდებლობის აქტით გამოცხადებული იდეებისა, აშენებდნენ ევროპული ტიპის ცივილიზებულ, დემოკრატიულ სახელმწიფოს. და ჩვენი ეს წერილიც „აქტის“ სიტყვებით დავამთავროთ:

**„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა“ და რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს“.**

**უშანგ სიდამონიძე**

# კონკურსი — „სისხლიანი აპრილი“

**საქართველოს სახალხო ფრონტი და გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია მიმდინარე წლის პირველი აპრილიდან პირველ ივლისამდე ატარებენ კონკურსს რესპუბლიკის სკოლების მოსწავლეთა და ბავშვთა შორის საუკეთესო მოთხრობის, ნარკვევის, ნახატისა და, საერთოდ, მცირე ფორმის ლიტერატურულ და სახვით ნაწარმოებთა გამოსავლინებლად, თემაზე: „სისხლიანი აპრილი“.**

კონკურსში გამარჯვებული საუკეთესო ნაწარმოებები გამოქვეყნდება „საქართველოში“ და ჩვენი რესპუბლიკის სხვა ჟურნალ-გაზეთებში, აგრეთვე, აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის გაზეთ „აზადლიგში“ („თავისუფლება“), შემდეგ კი დაიბეჭდება წიგნში „ბავშვები ამხელენ ტოტალიტარიზმს“, რომლის გამოცემის იდეა ეკუთვნის აზერბაიჯანის ბავშვთა უფლებების დაცვის ლიგას, რომელმაც მიმდინარე წლის დასაწყისში აზერბაიჯანის სახალხო ფრონტის ხელშეწყობით აზერბაიჯანის მოსწავლეთა და ბავშვთა შორის უკვე ჩაატარა ლიტერატურული კონკურსი თემაზე: „შავი იანვარი“.

აზერბაიჯანის და ჩვენი ბავშვების გარდა წიგნის ავტორები, ალბათ, იქნებიან მათი თანატოლები ბალტიისპირეთიდან, რომელსაც თანამშრომლობისათვის მიმართა აზერბაიჯანის სახალხო ფრონტმა.

საკონკურსო ნაწარმოები დევიზით „სისხლიანი აპრილი“ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

**თბილისი. 380009, ყაზბეგის ქ. № 17. საქართველოს სახალხო ფრონტი; ან თბილისი, 380062, ილია ჭავჭავაძის გამზირი № 35, გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერისა და მამულისათვის

## (ინტერვიუ კომენდანტთან გაგრძელებებით)

ქალაქ ცხინვალის კომენდანტი ბატონი თენგიზ ეპიტაშვილი პირველად სამაჩაბლოს ცხინვალსიქითა სოფლებში მიმავლებმა მოვინახულეთ. სულ ხუთი დღის დანიშნული იყო. ოფიცრებს დავალებას აძლევსო, გვითხრეს და ათიოდე წუთს ლოდინი მოგვიხდა. გვერდით ოთახში შეგვიყვანეს. ღუმელი ჩამქრალიყო და ციოდა. ფანჯრიდან ჯავშანტრანსპორტიორი და უზარმაზარი ბლოკებით გადაღობილი ტრასა ჩანდა... გულმა უეცრად რეჩხი მიყო: გარეთ და შიგნით შეიარაღებული ქართველები იყვნენ, ომი გრძელდება.

ბატონი კომენდანტი საშუალო სიმაღლის, მკვრივი აგებულების, ერთობ თავაზიანი („ღიმილი უხდება") ადამიანი გამოდგა. გაცნობისთანავე მოგვიბოდიშა შეყოვნებისათვის და სკამი შემოგვთავაზა. ჩემი პირველივე კითხვა საკმაოდ კატეგორიული იყო:

**— ბატონო თენგიზ, ამბობენ, რომ თქვენ ადრე შემოგთავაზეს ცხინვალის კომენდანტობა, მაგრამ, თითქოს განაწყენებულმა, უარი თქვით. რატომ დათანხმდით ახლა, თუ ეს მართლაც ასე იყო?**

— შემოთავაზებით შემომთავაზეს და უარი განაწყენების გამო კი არა, იმიტომ ვთქვი, რომ დედა მყავდა მძიმე ავადმყოფი, მიხედვა სჭირდებოდა, არ შემეძლო მომაკვდავი დედა მიმეტოვებინა... აი, ახლა კი აქ ვარ.

**— თქვენ პროფესიონალი სამხედრო სპეციალისტი ბრძანდებით და უცხოეთშიც გიმუშავიათ, არა?**

— დიახ, 1957 წელს წავედი საქართველოდან და მხოლოდ 31 წლის შემდეგ, 1988-ში დავბრუნდი. ვარ სატრანსპორტო მილიციის სამმართველოს უფროსი, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე; ამ 31-დან 17 წელი უცხოეთში გავატარე, 17-დან 5 — ავღანეთში. სადაც ვიყავი, ხელმძღვანელობის დავალებას ვასრულებდი, ამბობდნენ, რომ კარგად; წასული კი ვიყავი, მაგრამ შინაგანად საქართველოს არასოდეს დავშორებივარ. არ დამვიწყებია, რომ ქართველი, — წარმოშობით მარტყოფიდან ვარ, დედა კი გურული, იმნაძე მყავდა — ამ მიწის შვილი ვარ და ყველაფერს საქართველოსათვის ვაკეთებდი.

●

**გვიანდელი ჩანართი:** „თენგიზი ჩვენი ძმაა, ნაღდი ქართველი, ახალგაზრდობიდან ვიცნობ ოჯახით, ჯერ მხოლოდ ორი ვარსკვლავი რომ ეკერა. ძალიან კოხტა, საყვარელი ბიჭი იყო. ახლა, რაც ჩამოვიდა, თითქოს ქართული უჭირს, მაგრამ ჩვენი ბრალია, თამადად უნდა დაგვენიშნა ხშირ-ხშირად..." ეს უკვე თბილისში მითხრა ზურაბ ქაფიანიძემ.

●

**— რა მდგომარეობაა ცხინვალში?**

— მდგომარეობა ძალიან დაძაბულია. გულახდილად ვთქვათ, როცა კომენდანტის საათი ამდენი ხანია გრძელდება, უკეთესობისაკენ უნდა შეიცვალოს ვითარება. ჩვენს შემთხვევაში კი პირიქით ხდება, უარესდება. მეხუთე დღეა, აქ ვარ. პირველი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ცხინვალში ვიყავი. მთელი ქალაქი მოვიარე, სამხედროებსაც ველაპარაკე, ხალხსაც... გვაქვს მოსაზრებები, რა როგორ უნდა გავაკეთოთ, მაგრამ აქ ისეა ყველაფერი ერთმანეთს გადაჯაჭვული და არეული, პირდაპირ გეტყვით, ძალზე ძნელია რამის გადაჭრით შეცვლა და გაუმჯობესება. დროა საჭირო.

**— თქვენს ხელქვეითებზე რას იტყვით?**

— მყავს ორი მოადგილე, მილიციის ქვეგანაყოფების მეთაური პოლკოვნიკი ჯემალ ინჯია და პოლკოვნიკი ვლადიმირ ჟაბკო, რომელიც აქ მოქმედ სამხედრო ნაწილებს ხელმძღვანელობს. ორივე უნაკლოდ ასრულებს ჩემს ბრძანებას. აქ ვისაც ხედავთ, მამაცი ბიჭები არიან, ქართველებიც, სხვა ერის წარმომადგენლებიც, მშვიდობისა და წესიერების აღსადგენად მოვიდნენ.

**— ქართველი მილიციელების კმაყოფილი ხართ?**

— კარგის მეტს ვერაფერს ვიტყვი. არის ზოგიერთი ადამიანი, ვისაც ბუნებით არ შეუძლია ომში ყოფნა, ვთქვათ, ცუდად ხდება. ასეთები იმთავითვე, ჯერ კიდევ ჩემამდე გაათავისუფლეს. ვინც დარჩა, წესიერად, პატიოსნად, გმირულად ემსახურება თავის საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ გამოცდილება არა აქვთ. ისინი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან არიან და ყველა მოსულია იმისათვის, რომ დაიცვას ერისა და სამშობლოს ინტერესები; ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ არავინ წუწუნებს, დაღლაზე არ ლაპარაკობენ. სიცხიანებსაც კი ვერ ვაგზავნი ზოგჯერ შინ, აქვე რჩებიან.

უამრავი საზრუნავი მაქვს. ერთერთი უპირველესი ის არის, რომ პასუხისმგებელი ვარ ამ ხალხის სიცოცხლისათვის, მე ისინი ცოცხალი და ჯანმრთელი უნდა დავაბრუნო ოჯახებში, ეს ჩემი, როგორც კომენდანტის, მოვალეობაა.

ახლა ყველანი ჯარისკაცები არიან, მაგრამ მათში უპირველესად ადამიანი უნდა დავინახოთ, ყურადღება მივაქციოთ, ვიზრუნოთ, მაგრამ ისე, რომ კანონი და მოვალეობა ყველაფერზე მაღლა იდგეს. დისციპლინა იმიტომაა, რომ დავიცვათ. თუ დაამავა, არც რიგითს და არც ჩინოსანს არაფერს ვაპატიებ.

საერთოდ ყველა საქმეში და აქაც საჭიროა ობიექტურობა. მე სულით, გულით, მთელი შეგნებით ქართველი ვარ, მინდა ჩემმა ხალხმა გაიგოს და სჯეროდეს, რომ ყველაფერს გავაკეთებ, რაც ჩემი ერისთვის არის საჭირო, მაგრამ მთავარია ობიექტურობა. მე არც ქართველებს მივემხრობი და არც ოსებს, ობიექტურად უნდა განვიხილოთ ყველაფერი და სიმართლე ვთქვათ. მე ტელევიზიით გამოვედი და ფაქტებით ვილაპარაკე იმაზე, რაც არის. ეს ოსებს სწყენიათ და ჩემი მოკვლაც გადაუწყვეტიათ, მაგრამ ეგ არაფერი, — ჩემი სიცოცხლე არაერთხელ ყოფილა საფრთხეში — მთავარია სიმართლე და ობიექტურობა და ის, რომ ქართულ მიწაზე სისხლი აღარ იღვრებოდეს და აქ ქართველს დაედგომებოდეს.

**— ბატონო თენგიზ, თქვენ უკვე საბოლოოდ დაბრუნდით შინ...**

— ცოტა ხნის წინ მოსკოვში გახლდით. შემომთავაზეს საზღვარგარეთ მაღალხელფასიანი მივლინება, ჩინის მომატება, კარგი ბინა... იცით, კიდევ შეიძლება წავსულიყავი, საქართველოში რომ ყველაფერი კარგად ყოფილიყო. ახლა კი ჩემი წასვლა ღალატის ტოლფასი იქნებოდა. ვგრძნობ, რომ აქ საჭირო ვარ და სანამ ასეა, ფეხსაც არ მოვიცვლი. თქვენ ალბათ არ იცით და ღმერთმა ნურც გამოგაცდევინოთ, რა საშინელებაა სამშობლოსგან მოშორება. ავღანეთში ყოფნის 5 წლის მანძილზე ერთხელაც არ ჩამოვსულვარ და კინაღამ გავგიჟდი. თვალს დავხუჭავდი თუ არა, მშობლიურ ადგილებს ვხედავდი, გავახელდი — კვლავ საქართველო მელანდებოდა... ბევრი რამ გადავიტანე, ორჯერ დავიჭერი კიდეც... არ ვიცი, რამდენი წლის სიცოცხლე დამრჩა, მაგრამ რაც დამრჩა, ბევრია თუ ცოტა, მინდა ეს წლები და შეძენილი ცოდნა და გამოცდილება — ვერ ვიტყვი, რომ სიცოცხლე ფუჭად გავატარე და წარსული წლებიც დაკარგულად არ მიმაჩნია, — საქართველოს მოვახმარო და საქართველოში გავატარო.

**16 მარტი, 1991 წელი.**

●

**გაგრძელება ერთი კვირის შემდეგ**

**24 მარტი, 1991 წელი.**

შტაბთან მისულს თვალში მოხვდა, რომ იქ სამოქალაქოტანსაცმლიანი ხალხი აღარ ირეოდა და მანქანების რაოდენობაც შემცირებულიყო.

ბატონი თენგიზი უკვე ძველი ნაცნობივით შეგვხვდა და თითქოს უფრო კარგ გუნებაზეც ჩანდა.

**— რა შეიცვალა ამ ერთი კვირის განმავლობაში?**

— ცვლილებები არის და სასიკეთო. ჩემი ამოცანის პირველი ნაწილი, პროგრამა-მინიმუმი (ღიმება) — რომ სროლა და სისხლისღვრა შეწყვეტილიყო, მგონი შესრულდა. მესამე დღეა, ერთი გასროლაც არ ყოფილა. ხუთშაბათს გახლდით ცხინვალში, შევამოწმე სამხედრო ნაწილების საბრძოლო მდგომარეობა, ცალკე ვესაუბრე მოსკოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცრებსა და სერჟანტებს, რომლებიც აქ იმყოფებიან, გავეცი საჭირო განკარგულებანი... ოს მოსახლეობას (აბა ქართველები იქ თითქმის აღარ არიან) გაეგო, რომ იქ ვიყავი და გამოსვლისას 400-მდე ქალი, ბავშვი და ხანშიშესული მამაკაცი დამხვდა. მივედი, მივესალმე. თქვენ თურმე ჩემზე ნაწყენები ყოფილხართ, თუ ჩემი მოკვლა გინდათ და ამით საქმეს ეშველება, აგერ ვარ-მეთქი. ბრალად დამდეს, ტელევიზიით ცუდად მოგვიხსენიეთო. ავუხსენი, რომ ისინი, ვინც ის ოთხი ქართველი ახალგაზრდა დაწვა, ფაშისტებზეც უარესები არიან, მთელ ოს ხალხზე კი ცუდი არ მითქვამს-მეთქი.

●

ხალხიდან წამოუძახიათ, თქვენ რომ გვიკეთებთ, იმაზე ცუდი რა გინდა, აქამდე სამხედროები ჩვენს მხარეს იყვნენ, ახლა კი აღარ არიანო. კომენდანტმა მათ აუხსნა, რომ აქამდე სამხედროები ობიექტურები არ იყვნენ, არ ასრულებდნენ იმას, რაც ევალებოდათ, ამჟამად კი მის ბრძანებას დაემორჩილებიან, რადგან, უნდათ ეს ოსებს თუ არა, ქალაქის პატრონი კომენდატია.

ბატონი თენგიზი დიდხანს ესაუბრა ოს მოსახლეობას იმაზე, რომ ქართველებმა და ოსებმა თვითონ უნდა მოაგვარონ თავიანთი პრობლემები, რომ თუ ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ, მესამე ძალის ჩარევა სულაც არ იყო საჭირო. იმას კი, ვისაც ჩვენთან ყოფნა არ უნდა, არავინ იჭერს, შეუძლია წავიდეს.

ოსებს ისიც უთქვამთ, ჩვენ არ გესვრით, ამას ჩრდილო ოსეთიდან ჩამოსული ბანდიტები და ნარკომანები აკეთებენ, ჩვენი ახალგაზრდებიც აიყოლიეს, შეაცდინეს და თქვენი იმედი გვაქვს, რომ მათ თარეშს ალაგმავთო.

ბატონმა თენგიზმა მათ უთხრა, რომ მზადაა შეხვდეს ყველა ოს ლიდერს, ისიც აუხსნა, რომ მათ ქართველების მხრიდან არავინ ესვრის, არავინ შეავიწროვებს, მაგრამ ვინც კომენდანტის საათის წესებს დაარღვევს, დავსჯითო.

მთელმა ამ ხალხმა ლამის ქალაქის ბოლომდე გამოაცილა ბატონი თენგიზი, სუფრაზეც მიუპატიჟებიათ...

●

— აი, უკვე მესამე დღეა, ერთი გასროლაც არ ყოფილა, სიწყნარეა, — ამბობს ბატონი თენგიზი — გუშინ ჩემი მოადგილე იყო ქალაქში, მოსახლეობასთან შეხვედრამ კარგად ჩაიარა.

**— მადლობა ღმერთს! უნდა გითხრათ, რომ მთელი საქართველო დიდი ინტერესით ელის და უსმენს თქვენს გამოსვლას ტელევიზიით, ხალხს თქვენი იმედი აქვს და გაუმართლა კიდეც...**

— მარტო ჩემი არა: ჩვენი მთავრობისა და ყველა აქ მყოფის ერთობლივი ძალისხმევა იქითაა მიმართული, რომ ეს ინსპირირებული ვითომ ეთნოკონფლიქტი მალე მოგვარდეს. ახლა ჩვენ ძალზე გვიჭირს. უამრავი პრობლემაა გადასაწყვეტი და თუ გვინდა, რამე სასიკეთოდ გადაწყდეს და ქვეყანას ეშველოს, ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. ხაზგასმით მინდა განვაცხადო, რომ **ამიერიდან ყველაფერი, რაც ქალაქ ცხინვალს და სამხედრო მოქმედებებს ეხება, კომენდანტს მოეკითხება, პასუხისმგებელი ის არის და ყველა ფორმალური თუ არაფორმალური გაერთიანება თუ ცალკეული ადამიანი მას უნდა დაემორჩილოს.** კერძო ინიციატივის გამოვლენა საჭირო არ არის, ამან შეიძლება ხელი შეუშალოს მოქმედების გეგმაზომიერ განვითარებას. მე ადრეც გითხარით და ვიმეორებ, რომ უაღრესად ობიექტური ვიქნები, არც ჩემს საქმეში ჩარევას, არც საკომენდანტო საათის წესების დარღვევას, — ქართველი იქნება, ოსი თუ სხვა ვინმე, — არავის ვაპატიებ.

**— კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, ბატონო თენგიზ და ღმერთი შეგეწიოთ!**

●

**... ცხინვალის კომენდანტი დღე და ღამე პოსტზეა. ტერიტორიას უვლის, სამხედრო მოსამსახურეებს, მილიციელებსა და მოსახლეობას განკარგულებას აძლევს და ესაუბრება, ან შტაბშია... ერთი წუთითაც არ ტოვებს იქაურობას, რადგან იცის, რომ მის ხელქვეითებს და მთელ საქართველოს ეიმედება...**

**გვიანდელი მინაწერი:** ასეთი ამაღლებული განწყობილებითა და იმედიანად ვამთავრებდით წერილს, მაგრამ ცხინვალში მდგომარეობა ისევ გართულდა. ჩვენი ინტერვიუ კვლავ გაგრძელდება...

**სალომე ზვიადაძე**

**27 მარტი, 1991 წ.**

გთხოვთ, ჰონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდში.

---

**მამული. ენა. სარწმუნოება**

# ბზის ნაკურთხი ტოტი

**აღდგომას** ერთი კვირით წინ უსწრებს ქრისტიანული ეკლესიის საუფლო დღესასწაული — ბზობა. სახარების თანახმად იერუსალიმში საეკლესიო ზეიმზე მიმავალ იესო ქრისტეს გზად მოჯარული ხალხი უფენდა პალმის ტოტებს, ეს იყო პალმა ბაია. ამიტომ ბზობა ბაიობის სახელწოდებითაცაა ცნობილი. უფრო სწორად ბაიაობის რიტუალი ჩვენთან ბზობის სახით შემოინახა. ამ დღეს მორწმუნენი მიდიან ეკლესიაში და ნაკურთხი ტოტები შინ მიაქვთ.

ამრიგად, ბზა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის ოდითგან საკულტო მცენარედ იყო მიჩნეული. მას რგავდნენ ტაძრების გარშემო, რათა ბზობის ცერემონიალისთვის ჰქონოდათ მისი ტოტები. ამას ადასტურებს ისიც, რომ საქართველოში არა მარტო ყველა დიდი მონასტრის თუ ეკლესიის ეზოში, არამედ პატარა სამლოცველოებთანაც კი შემორჩენილია ბზის ერთი-ორი ბუჩქი მაინც. ბზის რამდენიმე ბუჩქი გარეჯის უდაბნოს ლავრის შიგნითა ბაღშიც ჰქონიათ გაშენებული.

საქართველოში ბუნებრივად გავრცელებულია ბზის ერთადერთი ენდემური სახეობა — კოლხური ბზა. იგი მარადმწვანე ბუჩქია ან ხე. ფოთლოვან ტყეებში ქმნის ე.წ. კოლხურ ქვეტყეს ან გვხვდება დამოუკიდებელი კორომების სახითაც. ბზას აქვს საუცხოო მერქანი, რომელიც იმდენად მკვრივია, რომ წყალში იძირება. პრიალდება იდეალურად. მას სპილოს ძვალს ადარებენ. დიდი გამოყენება აქვს გემთმშენებლობაში, სატრანსპორტო და საავიაციო მრეწველობაში, სადურგლო-სახარატო საქმეში, ავეჯის წარმოებაში და ა.შ. არის საუკეთესო თაფლოვანი მცენარე. თესლები მდიდარია იოდის შემცველი ზეთებით. ქერქის, ფოთლების და ნაყოფების ნაყენი გამოყენებულია ხალხურ მედიცინაში. გამოირჩევა მაღალი დეკორატიულობით. ცხადია, ამ უნიკალური თვისებების გამო ბზას ოდითგანვე ბევრი „მტერი" ჰყავდა. განსაკუთრებით ბზის ხეებზე იყო მიტანილი იერიში. თითქმის ყველა ეპოქაში და ყველა ხელისუფლების დროს ამ მცენარის ექსპლოატაცია კატასტროფული ტემპებით მიდიოდა. პირწმინდად განადგურდა მისი ტიპიური კორომები. ამიტომაც შეიტანეს ბზა „წითელ წიგნში". ეს უკვე საგანგაშო ნიშანია. ბზას შველა სჭირდება. საჭიროა შემორჩენილი კორომების ნაკრძალებად და აღკვეთილებად გამოცხადება. რაციონალური ექსპლოატაციის ნორმებისა და წესების მკაცრი დაცვა.

სამწუხაროდ, ასე არ ხდება. ბზის ექსპლოატაციის ნაირგვარ ფორმებთან ერთად საქართველოში დიდი ხანია ფეხი მოიკიდა ბზობის დღეებში ბზის ტოტებით გამალებულმა ვაჭრობამ.

ბზა კოლხური ფლორის ტიპიური ელემენტია. იგი ძირითადად დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული, მაგრამ გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოშიც: ყვარლის მიდამოებში (ბზათგორა), საგურამოს ქედი (ბზიანხევი, წმინდა გიორგის ტაძრის ნანგრევების მიდამოები), მდ. ილტოს ხეობა (სალორიის ქედი), მდ. სტორის ხეობა (დევუბანი) და სხვა. ამ ფაქტს საქართველოს ფლორის ისტორიის საკითხების გარკვევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

ბზის ტოტებით ვაჭრობის „აღმოსავლური კამპანია" სწორედ ამ ადგილებიდან შემოტანილ ნედლეულთან არის დაკავშირებული მაშინ, როცა აქ ბზის ხელის ხლებაც კი არ შეიძლება.

ბზა ცოცხლობს 500-600 წელს, ნაყოფმსხმოიარობას იწყებს 50-60 წლის ასაკში. ეს იმაზე მიუთითებს, რომ მას ძალიან ნელი ზრდა ახასიათებს. ბზის ერთი პატარა (15-20 სმ-იანი) ტოტის გაზრდას სჭირდება 10 წელზე მეტი, ხოლო მერქნის წლიური ნამატი სიმსხოში 1 მმ არ აღემატება. ამრიგად, მისი მოხმარების ტემპი ათჯერ მეტია განახლების ტემპზე. ყოველწლიურად, ყველაზე ცოტა, 2-3 მილიონი ტოტი იჭრება და თანაც დიდი ტოტები (ნახევარი მეტრი და მეტი). ზოგიერთი ფიქრობს, რომ რაც უფრო მეტ ბზას მიიტანს სახლში, მით უფრო მეტი ხვავი და ბარაქა ექნება მის ოჯახს. ასე ნადგურდება ეს „ხელიხელსაგოგმანები" მცენარე.

მაშ როგორ მოვიქცეთ? უარი ვთქვათ ბზობის დღესასწაულზე? არავითარ შემთხვევაში. ბზობაც უნდა ვიზეიმოთ და ნაკურთხი ბზის ტოტებიც უნდა მივიტანოთ შინ. ოღონდ ამ საქმეს სათანადო სახელმწიფო უწყებამ და ეკლესიამ უნდა მიხედოს. დასაშვებ რაიონებში (დასავლეთ საქართველო) და დასაშვებ ნორმებში ბზობისათვის დამზადდეს ტოტები და გადაეცეს ეკლესიებს, საიდანაც მლოცველები მიიღებენ ნორმალური ზომის ნაკურთხ ტოტებს. თუ ბზის ბუჩქები ეკლესიებისა და ტაძრების ეზოებში გაშენდება, ეს მეტად საშური საქმე იქნება.

ისიც უნდა ითქვას, რომ ბუნების გაჩანაგების გარდა, საკულტო მცენარით ვაჭრობა რელიგიური ნორმებით მკრეხელობა თუ არა, ღვთის წინაშე რაღაც ცოდვის ჩადენა მაინც არის!

**გიული ქიქავა,**
**ნიკო კეცხოველის სახელობის ბოტანიკის ინსტიტუტის ბუნებრივი მცენარეული რესურსების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი;**

**იზოლდა ჩხეტიანი,**
**ამავე ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებისათვის

## ძვირფასო თანამემამულენო!

საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის პარტიის მონაწილეობა ადგილობრივი საკრებულოების არჩევნებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთლიანობის ინტერესებისათვის ხორციელდება და ლოკალური მასშტაბით განისაზღვრება, ისიც მცირე რაოდენობის დეპუტატობის კანდიდატებით. ყოველივე ეს გამომდინარეობს გარკვეული ობიექტური და სუბიექტური მიზეზებიდან. მიუხედავად ამისა, პარტია და მისი ყოველი წევრი ცდილობს აქტიური მონაწილეობა მიიღოს არჩევნების წარმატებით ჩატარებაში. ისინი მოწოდებულია არჩევნები ჩატარდეს ობიექტურობის დაცვით, როგორც ჭეშმარიტ დემოკრატიას შეეფერება. ყოველივე ამ აღნიშნულის გაკეთება პოლიტიკურ პარტიებსა და ორგანიზაციებს გაუჭირდებათ, თუ მათ მხარში არ ამოუდგა საზოგადოების ფართო მასები.

საერთოდ, განსაკუთრებით კი დღევანდელ ვითარებაში, როდესაც საზოგადოება განიცდის ყოველმხრივ კრიზისს, ჯანსაღი საზოგადოებრივი აზრისა და ხალხის ღირსეული წარმომადგენლების გამარჯვება ადგილობრივ საკრებულოთა არჩევნებში ძალზედ მნიშვნელოვანია, ვინაიდან ისინი ითამაშებენ არსებით როლს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთლიანობის საქმეში, ეთნოკრიზისების დაძლევაში და სხვა ამგვარი უარყოფითი მოვლენების აღმოფხვრაში, საერთოდ რესპუბლიკის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური განვითარების სფეროში. ამდენად ყველა მოქალაქის პირად პასუხისმგებლობაზეა დამოკიდებული საქართველოს მომავალი. პარტია იმედოვნებს, რომ რესპუბლიკის ყველა მოქალაქე გამოიჩენს სათანადო აქტივობას, არ აჰყვება ამბიციებს, დაძლევს პროვინციალიზმს, ამ სიტუაციისათვის შეუფერებელ სხვა გრძნობებს, მივა საარჩევნო ყუთთან და ხმას მისცემს ღირსეულთ, აირჩევს ერისათვის თავდადებულ ადამიანებს ადგილობრივ პარლამენტებში, სადაც უნდა გადაწყდეს მრავალი კარდინალური საკითხი, როგორც საერთო, ისე კონკრეტული, რაც ხელს შეუწყობს ეროვნული მოძრაობის წინსვლას, საზოგადოებრივ პროგრესს, ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის განხორციელებას.

**საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სოციალური თანასწორუფლებიანობის პარტია.**

# წარმოგიდგენთ პარტიის ხელმძღვანელი

თავიდანვე გეტყვით, რომ ჩვენი პროგრამა უმთავრესად ეხება საქართველოს განთავისუფლებას კოლონიური უღლისაგან.

ხაზი გვინდა გავუსვათ, რომ თითქმის ყველა პარტია და პოლიტიკური ორგანიზაცია საქართველოში გვპირდება სამოთხესა და ოქროს კოშკების აშენებს, ოღონდ მხოლოდ ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ, ხოლო თავისუფლება როგორ უნდა მოიპოვონ, ამის განხილვაზე აღარ ჰკარგავენ ძვირფას დროს.

ჩვენგან ამის განცხადება, ცხადია, პრეტენზიულია, უაღრესად სამართლიანი რომ არ იყოს.

დავიწყოთ იმით, რომ დღეს საქართველო გამოცხადებულია რესპუბლიკად, ხოლო უზენაეს საბჭოს ეროვნულ პარლამენტს უწოდებენ. რომელ რესპუბლიკაზე ან პარლამენტზე შეიძლება ლაპარაკი, როდესაც კოლონიური ქვეყნების მდგომარეობაც კი ჩვენთვის ჯერჯერობით საოცნებო და მიუღწეველია.

მსოფლიო საზოგადოებრიობა მოუთმენლად ელოდა არჩევნებს საქართველოში, რომელსაც უნდა უარეყო ბატონ ლუკიანოვის მტკიცება, თითქოს სსრკ-ში რესპუბლიკები სუვერენულ სახელმწიფოებს წარმოადგენენ. ცნობილი დასავლეთელი სოვეტოლოგები, როგორიც არიან ფ. ვაგნერი, ა. ბურნსი, რ. პაიპსი, პ. კენეზი, ლ. შაპირო, ი. ბრედლი, ჰ. კისინჯერი, ზ. ბჟეზინსკი, კოლონიებად მიიჩნევდნენ „მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებს", ხოლო ნახევრადკოლონიებად ევროპის სოციალისტურ სახელმწიფოებს. ამ ე. წ. „ბრალდებას" საბჭოთა მხარე აბათილებდა იურიდიულ-დემაგოგიურად, ხოლო ბოლო დროის რესპუბლიკათა სუვერენიტეტის პარადმა ბურთი ჩასჩარა მათ, ხოლო ჩვენს მიერ კი ქვეყნის რესპუბლიკად გამოცხადება მათთვის ლახვარის ჩაცემის ტოლფასია.

კომუნისტების დამარცხების შემდეგ ადგილობრივი მმართველობის სათავეში ხალხის არჩეული ადამიანები მოვიდნენ. აუცილებელი იყო გარკვევა და შემდეგ გამოცხადება იმისა, რომ ჩვენი სამშობლო საქართველო ინკორპორირებულ ანექსირებული ტიპის კოლონიას წარმოადგენს, რომელმაც უკვე ლენინ-სტალინის დროს დაკარგა კლასიკური კოლონიური ქვეყნის ნიშნები. ეს იყო და რჩება საქართველოს განთავისუფლების ერთადერთ სწორ გზად. ერთი ჭკვიანი ფილოსოფოსის თქმით: „იმდენად გადააგვარა საბჭოთა იმპერიამ დაპყრობილი ერები, რომ ისიც კი ვერ მოახერხეს ეთქვათ, კოლონიები ვართო".

ეს ყველაფერი, გვინდა გითხრათ, სულაც არ არის ჩვენი ყოფნიანობის შედეგი. კონსტიტუციურ დემოკრატიულ პარტიას უმთავრეს ამოცანად ხომ მიაჩნია საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბება. სწორედ სამართლებრივი სახელმწიფო გვესახება იმ აუცილებელ პირობად, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნისა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობა.

ხშირად გვეკამათებიან, რომ თითქოს ჩვენი კოლონიად ცნობა უნდა დაადასტუროს ჩვენივე მპყრობელმა სსრკ-მ და რაღა თქმა უნდა, გაერომ. აბსოლუტურად არასწორი მიდგომაა. ლენინი რომ ლენინია, მის პირველსავე დეკრეტში ზავის შესახებ მკაფიოდ ჩანს, რომ მხოლოდ ხალხი წყვეტს თავისი უფლებრივი მდგომარეობის შეფასებას და რომ ეს გადაწყვეტილება საბოლოოა, არავითარ სხვის მტკიცებას არ საჭიროებს.

რაც შეეხება გაეროსა და მოწინავე სახელმწიფოთა ლიდერების ძიერ იმპერიის პრეზიდენტის უსაზღვრო სიყვარულს, რომელსაც ხშირად გვახსენებენ ჩვენი ოპონენტები, სტრატეგიულად მნიშვნელოვანია არა სახელმწიფოს მეთაურთა პოზიცია ჩვენს მიმართ, არამედ მსოფლიო საზოგადოების აზრი, და ეს აზრი კი ჩვენს სასარგებლოდ სწორედ პოლიტოლოგებმა და სპეციალისტებმა უნდა ჰომამზადონ.

დღეს რესპუბლიკად საქართველოს გამოცხადების შემდეგ, ცენტრს მრავალმხრივი შანსები გაუჩნდა ჩვენი დამორჩილებისა. ის ეყრდნობა:

1. ეროვნულ უმცირესობებს;
2. ქვეყნის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაუბმელ ქართველებს;
3. ეკონომიკურ ბლოკადას;
4. პირდაპირ ძალმომრეობას.

ეს ფაქტორებია მისი კოზირები, რომელთაც კრემლი თანდათან გამოიყენებს, რათა ხელი მოაწერინოს საქართველოს რესპუბლიკას სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე, ხოლო ეკონომიკური ბლოკადა ის იარაღია, რომელმაც შეიძლება სწორედ ხალხი გამოიყვანოს ქუჩაში და აიძულოს უზენაესი საბჭო ხელი მოაწერინოს უბედურებაზე.

საქართველოს კოლონიად გამოცხადების შემთხვევაში კი ეს იარაღები კრემლს აღარ გამოადგება, ვინაიდან თუ ის ასევე გააგრძელებს, ფაქტიურად გამოდის ჩვენი კოლონიური სტატუსის მაღიარებლის როლში და 1960 წლის 14 დეკემბრის ნიკიტა ხრუშჩოვის დაწოლით გაეროს მიერ მიღებული „დეკოლონიზაციის" დეკლარაციის შემსრულებლად.

პირიქით, ცენტრი უნდა მოგვექცეს რაც შეიძლება რბილად, რომ არ დაამტკიცოს ჩვენი კოლონიური მდგომარეობა, ხოლო რაც შეეხება ეკონომიკურ ბლოკადას, ეს მისთვის სრულ უაზრობად იქცევა, ვინაიდან თუნდაც აიძულოს ხალხი და მისივე კოლონიური თვითმმართველობის ადმინისტრაცია, ხელიც რომ მოავწეროთ სამოკავშირეო ხელშეკრულებას, ეს ხელშეკრულება იმთავითვე განწირულია, შეიქმნება ნონსენსის მდგომარეობა, რადგან კოლონია შეუძლებელია მოკავშირე გახდეს, ამისათვის აუცილებელია, მინიმუმ, თავიდან სუვერენული რესპუბლიკის გამოცხადება.

ამას ძალიან კარგად ხედავდა და ხედავს კიდეც ცენტრი, იგი თავისთვის უიმედო გაგრძელებას, ცხადია, არ აირჩევს.

დღეს საქართველოს განთავისუფლებისათვის აუცილებელია, რომ მისი თავისუფლება უნდოდეს ჩვენთან მცხოვრებ ყველა ეროვნულ უმცირესობას და მოძრაობაში ჯერ კიდევ ჩაუბმელ ქართველებსაც. ჩვენ ყველა უნდა დავარწმუნოთ და რეალურად საქმით დავანახოთ, რომ საქართველოს განთავისუფლება მათ მხოლოდ სიკეთეს მოუტანს.

კოლონიური სტატუსის აღიარების შემთხვევაში მხედველობაში მისაღებია, რომ:

ა. საქართველოს დეკოლონიზაცია უნდა მოხდეს იმ ტერიტორიით, რომლითაც იგი იქნა დაპყრობილი 1921 წელს;

ბ. დაპყრობის მომენტში საქართველოში ავტონომიური ფორმირებები არ არსებობდა. ისინი შეიქმნა პრინციპით: „გათიშე და იბატონე";

გ. მეტროპოლია ვერ წამოგვიყენებს პრეტენზიებს მრავალმილიარდიანი ვალების შესახებ ბალტიისპირეთის ქვეყნებისაგან განსხვავებით;

დ. დამპყრობი ჯარების გაყვანისას კრემლი ვალდებული იქნება უსასყიდლოდ გადმოგვცეს სამხედრო ნაგებობები და ჩვენი თავდაცვისათვის საჭირო სამხედრო აღჭურვილობის გარკვეული ნაწილი;

ე. საქართველო გახდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და, შესაბამისად, მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე აღინიშნება სსრკ-საგან განსხვავებული ფერით;

ვ. ასიმილაციისა და ქართველი ერის მოსპობის საფრთხე მინიმუმამდე შემცირდება;

ზ. ბოლოს და ბოლოს, საქართველოს სპორტულ ორგანიზაციებს მიეცემათ საერთაშორისო ფედერაციებში შესვლის უფლება;

თ. მოისპობა ჩვენი ეკონომიკის განვითარების ხელშემშლელი წყალქვეშა რიფები და მაქსიმალურად გამოვიყენებთ საქართველოსათვის ღვთით მომადლებულ უზარმაზარ პოტენციალურ შესაძლებლობებს;

ი. როგორც იქნება, დაადგება საშველი და დადგინდება ოფიციალური განთავისუფლების დღე (ამჯერად, მართლა დამოუკიდებლობის გამოცხადების, ოღონდ ეს გამოცხადება უკვე რეალურ საფუძველს დაემყარება).

რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკის დღევანდელ მდგომარეობას, სრულ ჭეშმარიტებად მიგვაჩნია და აბსოლუტურადაც შეიძლება დავეთანხმოთ ბატონ ზვიად გამსახურდიას ა.წ. 23 თებერვლის პრეს-კონფერენციაზე გამოთქმულ მოსაზრებას, რომ არავითარ სერიოზულ ეკონომიკურ წინსვლაზე არ შეიძლება ლაპარაკი, სანამ ჩვენ იმპერიის ნაწილს შევადგენთ და სანამ არ გვექნება პირდაპირი ეკონომიკური კავშირები დასავლეთის ქვეყნებთან.

მოვუწოდებთ საქართველოს მოსახლეობას, რომ მხარი დაუჭირონ კონსტიტუციურ-დემოკრატიულ პარტიას, რადგანაც ჩვენი სიძლიერე უზენაესი საბჭოს პოზიციების გამაგრებაც იქნება კრემლთან მის ურთიერთობაში, რადგან მის უკან იარსებებს ძალა, რომლისაც მეტროპოლიას უნდა ეშინოდეს და სწორედ ეს მოგვცემს ყველას ფართო მანევრირების საშუალებას.

**გიორგი უორლანაშვილი,**
**კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე**

**1991 წლის თებერვალში გაზეთების „ახალგაზრდა ივერიელის" და „საქართველოს რესპუბლიკის" საშუალებით ჩვენს მიერ გამოქვეყნებულ რეპლიკაში „ინფორმაცია თუ დეზინფორმაცია?" საქართველოს საზოგადოებას ვაუწყებდით, რომ რესპუბლიკაში რადიაციული უსაფრთხოებისა და მასთან დაკავშირებული რიგი საკითხების ირგვლივ პრესისათვის ვრცელი, დასაბუთებული სტატია მზადდებოდა. სტატიაზე მუშაობის პერიოდში ჯერ გაზეთ „აჭარაში", ხოლო შემდეგ „ახალგაზრდა ივერიელში" საქინფორმის კორესპონდენტების გიორგი კორძაძისა და რომა შევჩენკოს ერთობლივი წერილი გამოქვეყნდა სათაურით „ვისთვის დეზინფორმაცია — ვისთვის საშინელი რეალობა". აღნიშნულმა წერილმა საგრძნობლად შეცვალა წინამდებარე წერილის სტილიცა და არსიც. პატივცემულ მკითხველს პატიებას ვთხოვთ იმის გამო, თუ მისი აზრით ამ წერილში უტაქტობის ან მომეტებული სიმკაცრის კვალს შენიშნავს.**

# რეალობა კი ასეთია

საქინფორმის კორესპონდენტებმა გ. კორძაძემ და რ. შევჩენკომ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 1991 წლის 8 თებერვლის ნომერში საქართველოს საზოგადოებას გააცნეს რესპუბლიკურ ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში ჩატარებული საქართველოს უზენაესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის საკითხთა ქვეკომისიასთან არსებული რესპუბლიკის წინააღმდეგ რადიაციული და ქიმიური დივერსიის შედეგების შემსწავლელი დროებითი კომისიის პირველი სხდომის ანგარიში.

დროებითი კომისიის პირველი სხდომა გახსნა და ინფორმაცია საქართველოში რადიონუკლიდებით დაბინძურებული ხორცისა და სხვა პროდუქტების დიდძალი რაოდენობით შემოტანის დღემდე გაგრძელების მიზეზებისა და შედეგების შესახებ გააკეთა სრულიად საქართველოს წმინდა ილია მართლის საზოგადოების თბილისის განყოფილების გამგეობის წევრმა, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა მაუგლი ჩხიკვაძემ. სხდომაზე განიხილავთ აგრეთვე საკითხი ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრში შექმნილი რადიაციული სიტუაციის შესახებ.

ჩვენი რეპლიკა „ინფორმაცია თუ დეზინფორმაცია?" — მიმართული იყო სწორედ აღნიშნული კომისიის სხდომაზე გაკეთებული მთელი რიგი ყალბი და საგანგებოდ შეთხზული „ინფორმაციის" წინააღმდეგ და არა ხსენებული კორესპონდენტების მიერ საგულდაგულოდ გაკეთებული ამ სხდომის ანგარიშის უარსაყოფად, რაც უკანასკნელთა მიერ სამწუხაროდ არ იქნა სწორად შეფასებული, რის გამოც კორესპონდენტები გ. კორძაძე და რ. შევჩენკო, ასეთი „ინფორმაციის" წყაროზე დაყრდნობით, შემდგომში თვით გახდნენ ინიციატორები ფალსიფიკაციისა და მიზანმიმართულ ცილისწამებათა გამავრცელებლები (იხილეთ გაზეთები „აჭარა" და „ახალგაზრდა ივერიელი", სტატია „ვისთვის დეზინფორმაცია და ვისთვის საშინელი რეალობა").

მკითხველი დასაწყისშივე გვინდა დავარწმუნოთ, რომ ეს საგაზეთო სტატია იმიტომ კი არ იწერება, რომ შევინარჩუნოთ „თანამდებობრივი სავარძელი და საკუთარი რენომე", როგორც ამას გვწამებენ გ. კორძაძე და რ. შევჩენკო, არამედ იმისთვის, რომ საქართველოს საზოგადოებამ ერთხელ და სამუდამოდ გაიგოს სიმართლე არსებული სიტუაციის შესახებ, რამეთუ დღევანდელ ვითარებაში დამატებითი ფსიქოლოგიური სტრესი (კერძოდ „რადიოფობია") მის ჯანმრთელობას გაცილებით მეტ ზიანს მოუტანს, ვიდრე ბატონ მაუგლი ჩხიკვაძესა და ამ კორესპონდენტთა მიერ „დახატული" არ არსებული სხივური ლეიკოზები და ალოპეცია (გამელოტება). ქართველ ხალხს მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვასთან ერთად გვინდა ზოგიერთი „სავარძლის" მაძიებლის პიროვნებაც გავაცნოთ.

თავდაპირველად რადიონუკლიდებით დაბინძურებული ხორცის და სხვა პროდუქტების შემოტანისა და მისი რეალიზაციის შედეგად გამოწვეული „მწვავე ლეიკოზების ორჯერ მატებისა და ბავშვთა შორის დაფიქსირებული უცნობი ეტიოლოგიის მოულოდნელი გამელოტების შემთხვევათა" შესახებ.

აი, რას მოწმობს ოფიციალური სტატისტიკა;

სამწუხაროდ რესპუბლიკაში მართლაც შეინიშნებოდა ჰემობლასტოზების (მათ შორის პირველადი მწვავე ლეიკოზების) მატება. დიახ, უკანასკნელად 1977 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნებოდა ამ დაავადებათა მატება და 253 შემთხვევიდან, 1985 წელს (ჩერნობილის კატასტროფამდე ერთი წლით ადრე) მან 408-ს მიაღწია. 1987 წელს (მეორე წელი ჩერნობილიდან) აღირიცხა დაავადებათა 466 შემთხვევა, მაგრამ 1988 წელს — 448, 1989 წელს კი 415 შემთხვევა, შემცირების ტენდენციაა 1990 წელსაც (სტატისტიკური დამუშავება ჯერ არ არის დასრულებული) ძვირფასო მკითხველო, მხოლოდ ამ ციფრების ანალიზითაც დარწმუნდებით, რომ 1986-1989 წ.წ. აღრიცხული ჰემობლასტოზების რაოდენობა მხოლოდ 0,1-0,015-ჯერ (და არა ორჯერ) მეტია 1985 წელს რეგისტრირებულ დაავადებათა რიცხვზე, რაც მთავარია, გთხოვთ, ერწმუნოთ პროფესიონალებს და დაიჯეროთ, რომ ჰემობლასტოზების (მათ შორის მწვავე ლეიკოზების) არცერთი შემთხვევა არ ყოფილა დაკავშირებული „რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებული დიდძალი ხორცის დღემდე შემოტანასთან", რადგანაც ისინი (დაავადებები), არც კლინიკურად და არც ლაბორატორიულად, არ წარმოადგენენ სხივური დაავადებების შედეგს. დაუკვირდით ბატონ მაუგლი ჩხიკვაძეს რა განუცხადებია კომისიის სხდომაზე; „ამგვარი ნორმების (იგულისხმება რადიაციული დაბინძურების ნორმები) შედეგად... დაფიქსირებულია ბავშვთა შორის უცნობი ეტიოლოგიის მოულოდნელი გამელოტების რამდენიმე შემთხვევა", მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა (ვგულისხმობთ მ. ჩხიკვაძეს) კი უნდა იცოდეს, რომ ეტიოლოგია წარმოშობას ნიშნავს და თუ გამელოტება „უცნობი ეტიოლოგიისაა", როგორღა დაუკავშირა იგი რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებული პროდუქტების მიღებას?

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ბატონმა მაუგლი ჩხიკვაძემ ეს ყველაფერი არ იცის. იცის, როგორ არ იცის, მაგრამ მაშინ, ხომ უნდა ეთქვა ისიც, რომ სხივური დაავადების შედეგად გამოწვეული გამელოტება არც უცნობი ეტიოლოგიისაა და არც მოულოდნელია? იგი ამ დაავადების ერთ-ერთი მოგვიანებული სიმპტომთაგანია. საქართველოში კი სხივური დაავადების შემთხვევები არ არის აღრიცხული (მათ შორის არც ბავშვებში), ე. ი. არც ამ დაავადების განვითარებით გამოწვეული გამელოტებაც არ არის „დაფიქსირებული".

მაშ რაში სჭირდება ასეთი სიყალბე და მოსახლეობაში პანიკური შიშის დანერგვა ბატონ მ. ჩხიკვაძეს? ამაზე ქვემოთ ვუპასუხოთ. ახლა კი დავუბრუნდეთ რადიოაქტიური ნივთიერებებით დაბინძურებულ ხორცსა და ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის ტერიტორიას.

ამ წერილის ერთ-ერთი ავტორის (კორესპონდენტების გ. კორძაძისა და რ. შევჩენკოს) ერთ-ერთი „ოპონენტთაგანის" ჯ. მანჯგალაძის საგაზეთო საუბარში კორესპონდენტ მარიკა მათიაშვილთან (იხილეთ ამა წლის 12 მარტის „დრიტა") დეტალურადაა გადმოცემული თუ რა ბედი ეწია 1986 წელს რესპუბლიკაში შემოტანილ რადიონუკლიდებით დაბინძურებულ ხორცს, მკითხველსაც მოეხსენება, რომ საქართველოს სანიტარული სამსახურის ხელმძღვანელობის მიერ გამოტანილი რეალიზაციის ამკრძალავი სანქციისა და საზოგადოების ფართო მხარდაჭერის მიუხედავად საკავშირო მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმის ინსტრუქციისა ამ ხორცის გამოყენების შესახებ, იგი საბოლოოდ რესპუბლიკის საზღვრებიდან გაიტანეს. ესეც კარგად მოეხსენებათ მ. ჩხიკვაძესა და საქინფორმის ხსენებულ კორესპონდენტებს, მაგრამ დახეთ, თურმე არც რესპუბლიკის მთავარ სახელმწიფო სანიტარულ ექიმს და არც სანეპიდსამსახურის წარმომადგენელს სახაგრომრეწვის სასოფლო-სამეურნეო რადიოლოგიის ინსტიტუტის მიერ „თბილისრძეში" შემოსული პროდუქტების ნიმუშების კვლევის ბლანკებზე (ნომრები 573/5; 583/5; 591/5; 606/5) ხელიც არ მოუწერიათ. გგონიათ, ამ სამეულს არც ბლანკებში დაფიქსირებული შედეგები წაუკითხავთ? როგორ არ წაიკითხეს, წაიკითხეს და აღმოაჩინეს, რომ რადიონუკლიდების რაოდენობა ამ ნიმუშებში არ აღემატებოდა 40 ბეკერელს (კილოგრამზე) დღეისათვის საქართველოში მოქმედი ნორმა ამ პროდუქტებისათვის 300 ბკ/კგ-ია, რაც თავისთავად საერთაშორისო ნორმაზე ნაკლებია. მაშ რატომ არ გააცნეს მკითხველს ანალიზის შედეგი? იმიტომ, რომ ცხადი გახდებოდა ამ ნიმუშზე სანიტარული სამსახურის მიერ დასკვნის გაცემის უაზრობაც. პროდუქტები ხომ ძალიან კარგი იყო; ან კიდევ — „მარტო გორის მაცივარკომბინატიდან 1991 წლის პირველ ნახევარში შემოტანილია 1.361 ტონა „ჩერნობილის ხორციო", გ. კორძაძე და რ. შევჩენკო რომ წერენ, განა არ იციან, რომ ამ ხორცში რადიონუკლიდების რაოდენობა არ აღემატებოდა 70 ბკ/კგ-ზე (დღეისათვის მოქმედ ნორმაზე 8.5-ჯერ ნაკლები), როგორ არ იციან, განა თვით ბატონი მაუგლი ჩხიკვაძე არ ესტუმრა შარშან ხსენებულ გორის მაცივარკომბინატს და არ დააფიქსირა აქტით, რომ „ყველა ნიმუშში რადიონუკლიდების შემცველობა ნორმის ფარგლებშია?" მით უმეტეს ეს ხორცი ტერნოპოლის, უმანის, ჩერკასის (ე. ი. ჩერნობილიდან საკმაოდ დაშორებული) ოლქებიდან იყო შემოტანილი, მაგრამ ყოველივე ეს რომ გაემხილათ მკითხველისათვის. როგორღა შეექმნათ პანიკა მოსახლეობაში? ამიტომ ყველაფერი მარტივად მოაგვარეს. ამ ხორცს დაარქვეს „ჩერნობილის" ხორცი (სტილი მათია) და ხალხი თავისი „უბოროტესი მტრის" სანიტარული სამსახურისა და თქვენი მონა მორჩილი ავტორების წინააღმდეგ აამხედრეს.

ამა წლის 9-15 იანვრის გაზეთ „დრო"-ში გამოქვეყნებულია ჟურნალისტ დალი ხუნდაძის საუბარი თსუ გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის გამგესთან ბატონ მიხეილ კავილაძესთან, რომელშიც დაწვრილებითაა მოთხრობილი რესპუბლიკური ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის ტერიტორიაზე რადიაციული უსაფრთხოების მიზნით ჩატარებული სამუშაოების შესახებ. აქვე ვკითხულობთ, რომ უკვე იანვრის დასაწყისისათვის ამ ტერიტორიიდან მოტანილი იყო 5000 პარკი მიწა და „რასაც ჩვენ ამჟამად ვზომავთ მიწის ზედაპირზე მხოლოდ ზოგიერთ წერტილებში აღემატება ფონურსო". (ფონური მნიშვნელობა კი ტერიტორიისათვის დამახასიათებელი სიდიდეა მიღებული მრავალწლოვანი გაზომვების შედეგად). მიუხედავად აღნიშნულისა, სამუშაოები ტერიტორიის გასუფთავებისათვის (როგორც საძიებო, ასევე სალიკვიდაციო) გრძელდება იმ ღონისძიებების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებული იქნა ა. წ. 20 თებერვალს.

მაშ კორესპონდენტების გ. კორძაძისა და რ. შევჩენკოს მიერ სარკაზმით მოხდილი ბოდიში, ჩვენთან ერთად თქვენი შეურაცხყოფაც ხომ არ არის?

ან კიდევ, ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრის დეზაქტივაციის კომისიაში „ჩვენი ოპონენტები" იყვნენ შეყვანილიო რომ წერენ გ. კორძაძე და რ. შევჩენკო; რატომ დაივიწყეს ბატონ მიხეილ კავილაძის (ამ კომისიის თავმჯდომარის) მოხსენიება? იმიტომ ხომ არა, რომ ბატონი მიხეილი საქართველოს უზენაესი საბჭოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური დაცვის საკითხთა ქვეკომისიასთან არსებული რესპუბლიკის წინააღმდეგ რადიაციული და ქიმიური დივერსიის შედეგების შემსწავლელი დროებითი კომისიის წევრია და ესწრებოდა იმ პირველ სხდომას, რომელზედაც მ. ჩხიკვაძის მიერ ასეთი „საშინელი რეალობა" იქნა დახატული? იქნებ კორესპონდენტებმა ისიც იციან, რომ ამა წლის 7 თებერვალს („საქართველოს რესპუბლიკაში" მათი დროებითი კომისიის პირველი სხდომის ანგარიშის გამოქვეყნების წინადღეს) საქართველოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრთან გამართულ ბავშვთა რეაბილიტაციის ტერიტორიის რადიაციული დაბინძურების მიზეზის შემსწავლელი და სალიკვიდაციო ღონისძიებათა გატარების კომისიის მორიგ სხდომაზე ბატონმა მიხეილ კავილაძემ (ამ კომისიის თავმჯდომარემ) ჩვენთან ერთად განაცხადა, რომ სალიკვიდაციო სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს, ხოლო რადიაციული მდგომარეობა არ წარმოადგენს საშიშროებასო.

რა თქმა უნდა, კომისიას, რომელსაც თავმჯდომარეობს თსუ-ს გამოყენებითი ბირთვული ფიზიკის ლაბორატორიის გამგე, და რომლის შემადგენლობაში შედიან რესპუბლიკის მთავარი რადიოლოგი — სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სასოფლო-სამეურნეო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის რადიაციული უსაფრთხოების განყოფილების გამგე, მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ბიოსფერული და ეკოლოგიური კვლევების კომისიის მთავარი სპეციალისტი, უწოდო, „სანეპიდსადგურის კომისია" და ამიტომაც მას დააბრალო „საქმის მიფუჩეჩების ტენდენციის გამო მალე დაშლა" — სხვა არა არის რა, თუ არა აშკარა გამიზნული სიცრუე.

სწორედ გამიზნული და აშკარა სიცრუეა, რადგანაც, ასეთი ლოგიკით, გამოთქმა „მიფუჩეჩება" უკვე სანეპიდსადგურს (ალბათ, რესპუბლიკურს) ეხება და არა მრავალპროფილურ ამ კომისიას, ეს კი ძალზე საჭიროცაა, რადგანაც შემდგომ პუბლიკაციაში სანეპიდსადგურის მთავარ ექიმს ს. კირთაძეს „წესი აუგონ" ამ კომისიის მუშაობაში მ. ჩხიკვაძე, რომ არ ჩაება. „მიფუჩეჩება" როგორ მიუდგება იმ სანეპიდსადგურის საქმიანობას, რომლის ხელმძღვანელიც ლენინგრადიდან ჩამოსული სპეციალისტების მიერ ვერტმფრენით წარმოებულ გაზომვებში ღებულობდა მონაწილეობას. რესპუბლიკის მთავარმა სახელმწიფო სანიტარულმა ექიმმა ბავშვთა რეაბილიტაციის ტერიტორიასა და არსენალის მთაზე (რომელიც მ. ჩხიკვაძეს, გ. კორძაძეს და რ. შევჩენკოს რატომღაც სულაც არ აინტერესებთ) რადიაციული დაბინძურების გამოვლენისთანავე აცნობა ამის შესახებ საქართველოს მთავრობას. ამ ტერიტორიის დაბინძურებაში დამნაშავე პირთა დადგენისა და მათი პასუხისმგებლობის შესახებ მანვე ოფიციალურად დააყენა საკითხები საქართველოს პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის წინაშე; ამიერკავკასიის სარდალ პატრიკეევს კი წინადადება მისცა გამოერკვია არსენალის მთაზე (სასროლეთზე) რადიაციული დაბინძურების მიზეზი და მიეღო ზომები სალიკვიდაციო სამუშაოების ჩასატარებლად. ამასთანავე რეაბილიტაციის ცენტრის ტერიტორიაზე კომისიის მიერ ჩატარებულ ყველა გაზომვაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკური სანეპიდსადგურის სათანადო განყოფილების მუშაკები. როგორ „მიუფუჩეჩებია" საქმე?! მკითხველო თვითონ განსაჯეთ.

დღევანდელ საქართველოს, თავისი სანუკვარი მიზნისაკენ სწრაფვაში, ჩვენი ერთიანობა, მამულიშვილური თავდადება და ჩვენივე ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების თანადგომა გვმართებს. ჩვენ ჩვენი პროფესიონალიზმით, რომელიც ესოდენ საჭიროა თავისუფალი ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური აყვავებისათვის და კომპეტენტურობით ვცდილობთ ჩვენი მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ დიად საქმეში. ამასთანავე სწრაფვა ზოგადსაკაცობრიო იდეალებისა, ჩვეულებრივი ადამიანური ღირსებებისადმი გვავალდებულებს გვქონდეს საკუთარი აზრიც და გამოვთქვათ იგი.

მ. ჩხიკვაძე, რომელიც წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა თბილისის საქალაქო სანეპიდსადგურის სანიტარულ-ჰიგიენურ და სხვა განყოფილებებს, „მამულიშვილად" ჩამოაყალიბა სამსახურის ხელმძღვანელობის, იმდროინდელი საქართველოს კომპარტიის ცეკას, პარტიის საქალაქო კომიტეტის, პროკურატურის მისდამი „დამოკიდებულებამ", როცა ისინი მას სასურველი თანამდებობის მიღწევაში ვერ დაეხმარნენ. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" მიერ გამოყოფილი იყო კომპეტენტური კომისია, რომელმაც საფუძვლიანად შეისწავლა მ. ჩხიკვაძის მიერ „ნამოღვაწევი" დოკუმენტები და ჩასწვდნენ მის მიერვე „განხორციელებულ შიმშილობათა სერიის" არსს. აი რა არის რეალობა.

მკითხველს კი კვლავ ვპირდებით, რომ ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, რეგულარულად მივაწვდით ინფორმაციას საქართველოს ტერიტორიაზე რადიაციული მდგომარეობის შემსწავლელი და რადიაციული გაჭუჭყიანების თავიდან აცილების საუწყებათაშორისო კომისიის მუშაობისა და ამ მიმართებით რესპუბლიკაში არსებული რეალური სიტუაციის შესახებ.

**რ. ვეფხვაძე,**
**პროფესორი, რესპუბლიკის მთავარი რადიოლოგი, ონკოცენტრის დირექტორი.**

**ა. გელაშვილი,**
**პროფესორი, სამედიცინო ინსტიტუტის კომუნალური და რადიაციული ჰიგიენის კათედრის გამგე;**

**რ. ხაზარაძე,**
**მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სანიტარიისა და ჰიგიენის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი;**

**ჯ. მანჯგალაძე,**
**სასოფლო-სამეურნეო რადიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი;**

**ნ. ქათამაძე,**
**მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის რადიაციული უსაფრთხოების განყოფილების გამგე;**

**ი. ზედგინიძე,**
**პროფესორი, რესპუბლიკის მთავარი ჰემატოლოგი, ჰემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის ს/კ ინსტიტუტის დირექტორი.**

**გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ საქართველოს ეროვნული თავდაცვის ფონდში**

ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნებისათვის

# სტატისტიკური მონაცემები

### ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" მიერ ქ. თბილისის საკრებულოებში წარდგენილი დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ

**პოლიტიკურმა** ბლოკმა „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" ქ. თბილისის საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად წარადგინა 400 დეპუტატობის კანდიდატი.

გთავაზობთ ზოგიერთ სტატისტიკურ მონაცემს აღნიშნული ბლოკის მიერ ქ. თბილისის საკრებულოებში წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა შესახებ.

**სტატისტიკური მონაცემები პროფესიების მიხედვით**

| პროფესია | რაოდენობა | პროცენტული შემადგენლობა |
|---|---|---|
| 1. ჰუმანიტარული დარგის წარმომად. | 55 | 13,75 |
| 2. ეკონომიკური დარგის წარმომად. | 29 | 7,25 |
| 3. იურისტები | 11 | 2,75 |
| 4. საბუნებისმეტყველო დარგის წარმომად. | 48 | 12,00 |
| 5. პედაგოგები | 19 | 4,75 |
| 6. ჟურნალისტები | 9 | 2,25 |
| 7. ტექნიკური ინტელიგენციის წარმომად. | 146 | 36,50 |
| 8. ხელოვნების დარგის წარმომად. | 21 | 5,25 |
| 9. სამედიცინო დარგის წარმომად. | 20 | 5,00 |
| 10. არქიტექტორები | 12 | 3,00 |
| 11. სოფლის მეურნეობის დარგის წარმომად. | 7 | 1,75 |
| 12. მუშა-პროფესიის წარმომადგენლები | 15 | 3,75 |
| 13. სპორტული მწვრთნელები | 3 | 0,75 |
| 14. სტუდენტი ახალგაზრდობის წარმომად. | 5 | 1,25 |
| | 400 | 100,00 |

**სტატისტიკური მონაცემები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით**

| ასაკი | რაოდენობა | პროცენტული შემადგენლობა |
|---|---|---|
| 21 — 30 | 71 | 17,75 |
| 31 — 40 | 185 | 46,25 |
| 41 — 50 | 104 | 26,00 |
| 51 — 60 | 37 | 9,25 |
| 61 — 70 | 3 | 0,75 |
| | 400 | 100,00 |

**სტატისტიკური მონაცემები სქესობრივი ჯგუფების მიხედვით**

| სქესი | რაოდენობა | პროცენტული შემადგენლობა |
|---|---|---|
| მამაკაცი | 311 | 77,75 |
| ქალი | 89 | 22,25 |
| | 400 | 100,00 |

გარდა ამისა ქ. თბილისის საკრებულოებში წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა შორის არის 22 მეცნიერებათა კანდიდატი და 3 მეცნიერებათა დოქტორი — პროფესორი, რაც შეადგენს მთელი რაოდენობის 6,25 პროცენტს, აგრეთვე 2 ასპირანტი.

დეპუტატობის კანდიდატთა შორის ასევეა 2 პენსიონერი და 5 კოოპერატივის წევრი.

როგორც მოცემული სტატისტიკიდან ჩანს, პოლიტიკური ბლოკის „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" მიერ ქ. თბილისის საკრებულოებში წარდგენილ დეპუტატობის კანდიდატთა შორის წარმოდგენილია არჩევნებში მონაწილეობის უფლების მქონე თითქმის ყველა ასაკის, სოციალური ფენისა და პროფესიის წარმომადგენელი.

პოლიტიკური ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო" მაქსიმალურად შეეცადა, რომ დეპუტატობის კანდიდატებად დასახელებული ყოფილიყვნენ მაღალი პროფესიონალიზმითა და ჭეშმარიტი კეთილსინდისიერებით დაჯილდოებული, ღირსეული პიროვნებები, რომელთაც გაცნობიერებული აქვთ ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც მოცემულ ისტორიულ მონაკვეთში აუცილებელია გარდამავალი პერიოდის წარმატებით დასაგვირგვინებლად.

მოგიწოდებთ, ხმა მისცეთ ღირსეულთა შორის ღირსეულთ, რადგან არჩეულ დეპუტატთა პიროვნულ, ზნეობრივ პრინციპებზე, პროფესიონალიზმსა და პოლიტიკურ სიმწიფეზე ბევრად იქნება დამოკიდებული უზენაესი საბჭოსა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების შეთანხმებული კოორდინირებული მუშაობა, რათა მივაღწიოთ საქართველოს სრული პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობის აღდგენას, მისი ეკონომიკური განვითარების სრულყოფას, დავითისა და თამარის დროინდელი მაღალი ზნეობისა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას საქართველოში.

თუ თქვენ გსურთ მხარი დაუჭიროთ ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოს", გთხოვთ ჩვენს კანდიდატებს საარჩევნო ბიულეტენში გვარის წინ მდებარე კვადრატში, საარჩევნო კანონის შესაბამისად ჩაუწეროთ ციფრები 1, 2, 3, 4, 5 იმის მიხედვით, თუ რომელ დეპუტატობის კანდიდატს ანიჭებთ უპირატესობას.

თუ თქვენი ხუთივე არჩევანი შეჩერდება ბლოკ „მრგვალი მაგიდა — თავისუფალ საქართველოს" დეპუტატობის კანდიდატებზე, ჩვენი გამარჯვება თქვენი გამარჯვების საწინდარია.

**ბლოკი „მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველოს" საარჩევნო კომისია.**

# „მიეც გლახაკთა"...



ამ ორიოდე წლის წინ შეიქმნა ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი", რომელმაც ჩვენი დედაქალაქის მრავალ გაჭირვებულ თანამოძმეს გაუწოდა დახმარების ხელი, ბევრ მარტოხელა და დავრდომილ ადამიანს მიაწოდა პური, წყალი, ჩასაცმელი. მაგრამ სამწუხაროდ, ეს საზოგადოება ყველა გაჭირვებაში მყოფ ადამიანს ვერ გასწვდება, ჩვენს დედაქალაქში კი ისინი არცთუ ცოტანი არიან. სწორედ ამ აქციის მიმდევრებად გამოჩნდნენ თბილისის ჩუღურეთის რაიონის სახალხო ფრონტელები, რომელსაც ხელმძღვანელობს გოჩა გავაშელი. აქ ამ სამიოდე თვის წინ შეიქმნა საქველმოქმედო სპეციალური კომისია, რომელიც დახმარებას უწევს გაჭირვებულ ადამიანებს. ამ საქველმოქმედო კომისიას სათავეში ჩაუდგა ქალაქ თბილისის 31 საშუალო სკოლის პედაგოგი ციალა დოთიაშვილი. კომისიამ რაიონის სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში ამოკრიბა მარტოხელა ადამიანების მისამართები გარდა ამისა, მათ ქუჩებში შემოვლით და სხვადასხვა საშუალებებით აღმოაჩინეს რაიონის 200-მდე უკიდურესად გაჭირვებული და დაძაბუნებული მოქალაქე. აქცია უკვე რამდენჯერმე ჩატარდა. მათ გაჭირვებულ ადამიანებს ბინაზე მიუტანეს კვების პროდუქტები. დღეს სახალხო ფრონტში მრავალი სამადლობელი წერილია შემოსული.

საქველმოქმედო კომისის ძირითად შემოსავალს სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებიდან და კერძო პირთა დანაზოგი თანხა შეადგენს. განსაკუთრებით დიდ მადლობას უხდიან ჩუღურეთის რეგიონალური სახალხო ფრონტის თანამშრომლები ქალაქ თბილისის უსინათლოთა საზოგადოებას, რომელმაც სოლიდური თანხა გადმორიცხა მათ ანგარიშზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქველმოქმედო კომისიას დიდ დახმარებას უწევს ჩუღურეთის რაიონის საჭკვების ხელმძღვანელობა და პირადად მირზა პაიჭაძე. კომისიაში აქტიურად საქმიანობენ № 14 თბილთონის გამგე მერაბ სიხარულიძე, მხატვარი ირაკლი პაპალაშვილი, 81-ე სკოლის პედაგოგი მარინე ფერიშვილი, თბილისის საჭკვების თანამშრომელი ნათელა წითლიძე და სხვები.

უახლოეს დღეებში ჩუღურეთის რეგიონალური სახალხო ფრონტელები აპირებენ საქველმოქმედო კონცერტი გაუმართონ რაიონის მრავალშვილიან დედებს, უკვე შეთანხმებული არიან მსახიობებთან და ხელოვნების მოღვაწეებთან.

**ოლეგ გველესიანი,**
**ტექსტი და ფოტო.**

სურათზე: ჩუღურეთის რეგიონალური სახალხო ფრონტის თანამშრომლები მიემართებიან მარტოხელათა დასახმარებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კათარზისი

ხაზოგადოებრიობას კარგად ახსოვს ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ მიმართვა რესპუბლიკის მთავრობისა და ქალაქ თბილისის აღმასრულებელი ხელისუფლებისადმი, რომელსაც, თამამად შეიძლება ითქვას, სრულიად საქართველო აწერდა ხელს. საქართველოს სსრ მთავრობას, რომლის მიმართაც გახლდათ გაგზავნილი წერილი, მიმართვაზე არანაირი რეაქცია არ გამოუვლენია. „კათარზისის“ ხელმძღვანელობამ იგივე თხოვნით ბატონ ზვიად გამსახურდიას მიმართა. და აი, რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელისადმი ბატონ ზ. გამსახურდიას რეზოლუციაში ვკითხულობთ: „სასწრაფოდ დააკმაყოფილეთ, სამართლიანი მოთხოვნებია“.

რესპუბლიკის მთავრობის რეაქცია მართლაც სასწრაფო გახლდათ. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებაში ნათქვამია:

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განკარგულება № 21 გ.**

**მიღებულ იქნეს რესპუბლიკის რელიგიური, პოლიტიკური, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციების წინადადება და გადაეცეს სრულიად საქართველოს ჰუმანიტარულ ასოციაცია „კათარზისს“ ბალანსიდან ბალანსზე სათნოების რესპუბლიკური სახლის განსათავსებლად დავით აღმაშენებლის გამზირზე № 121 მდებარე ქ. თბილისის დიდუბის რაისაბჭოს აღმასკომის ბალანსზე მყოფი შენობა.**

**დაევალოს საქალაქო საბჭოს აღმასკომს ზემოაღნიშნულ შენობაში მდებარე ორგანიზაციების სათანადო ფართობით უზრუნველყოფა.**

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

**თ. სიგუა.**

# „ქართველი ერის გზა ეს არის გზა სათნოებისა...“

**(ზვიად გამსახურდია)**

სათნოების სახლის თაობაზე ვესაუბრებით სრულიად საქართველოს ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისის“ პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ზაურ ალადაშვილს.

**— რა ფუნქციებს იტვირთავს სათნოების სახლი?**

— ფუნქციები მას ბევრი ექნება. შევეცდები უმთავრესის შესახებ გიპასუხოთ:

სახლის უპირველესი დანიშნულებაა იტვირთოს მიუსაფართა და მათ პოტენციურ დამხმარეთა მაკოორდინირებელი ფუნქცია.

თუ გასული წლის მაისის თვიდან ქაშუეთის ტაძრის ეზოში გამართულ სათნოების აქციებში მხოლოდ ის ადამიანები მონაწილეობდნენ, რომელთაც დათქმულ დღესა და საათს შეეძლოთ ტაძართან მისვლა, სათნოების სახლში ყველას მიეცემა საშუალება მისთვის მოხერხებულ დროს დაეხმაროს გაჭირვებულ თანამოძმეს. ეს აისახება მიუსაფართა ხვედრზეც, რამეთუ აღარ დასჭირდებათ კვირიდან კვირამდე ჭირ-ვარამის გამზიარებელთა ლოდინი.

უნდა ითქვას, რომ უკანასკნელ ხანებში, ქაშუეთის ტაძართან მიმდინარე აქციებმა გარკვეულწილად გადაუხვია თავის პირდაპირ დანიშნულებას. გაჭირვებულთა კვალდაკვალ იმატა იმათმა რიცხვმაც, ვინც მიუსაფართათვის განკუთვნილ მოსაკითხს ძალით ისაკუთრებდა. ტაძრის ეზოს ხმამაღალი საუბრისა და გაწევ-გამოწევის ასპარეზად, ბუნებრივია, ვერ ვაქცევდით, ამიტომაც იძულებულნი შევიქენით გასული თვიდან შეგვეცვალა მოქმედების ფორმა. ჩვენს უქონელ თანამოძმეებს მათთვის განკუთვნილ მოსაკითხს ბინებზე ვაწვდიდით.

ყოველწლიურად, არაზუსტი მონაცემებით, საქართველოში თავს იკლავს ორმოცდაათამდე ადამიანი, რომელთაგან 10–12 არასრულწლოვანია. ჩვენ, ბუნებრივია, გაცნობიერებული გვაქვს, რომ თვითმკვლელობათა უმრავლესობა აფექტის დროს ხდება, ამასთან, თუ პოტენციურ თვითმკვლელებს ეცოდინებათ, რომ არსებობს სახლი, რომელსაც კრიტიკულ სიტუაციაში შეუძლიათ შეაფარონ თავი (რათა გასცილდნენ ატმოსფეროს, რომელმაც ისინი თვითმკვლელობის ზღვართან მიიყვანა), მათი თუნდაც მცირეოდენი ნაწილი აღარ გადადგამს საბედისწერო ნაბიჯს.

ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ადამიანები (ან ამ ზღვართან მდგარნი), სურვილის შემთხვევაში, საგანგებო ტელეფონით ისარგებლებენ. როდესაც ამგვარი ადამიანი რეკავს, უკვე ეს ფაქტი ნიშნავს, რომ უმრავლეს შემთხვევაში სათანადო ფსიქოლოგიური დახმარებით მისი მდგომარეობიდან გამოყვანა შესაძლებელია. სხვათა შორის, მ. ასათიანის სახელობის ფსიქიატრიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც ამ თვალსაზრისით მუშაობის უკვე საკმაო გამოცდილება აქვს, ელის ჩვენს მოწვევას, რაც ზემოაღნიშნული კუთხით სათნოების ორდენისა და ამ დაწესებულების ძალების გაერთიანებას ნიშნავს. სათნოების სახლში თავშეფარებულ სასოწარკვეთილს უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ, თუ მას არ სურს, მისი სახლში ყოფნა არავისათვის, თვით ახლობლებისათვისაც კი, არ იქნება ცნობილი.

დარწმუნებულები ვართ, ფსიქოლოგიურმა სამსახურმა თუნდაც ერთი სასოწარკვეთილი ადამიანის გადარჩენაც რომ შეძლოს, სახლის არსებობის გამართლებად ეს ერთი კონკრეტული ფაქტიც გამოდგება.

უქონელ ხანდაზმულთაგან ზოგიერთს სხვათა დაუხმარებლად შეუძლია სიარული. ისინი ყოველდღიურად შეძლებენ სათნოების სახლში მოსვლასა და უფასო საკვების (მათ შორის ცხელი კერძის) მიღებას. სათნოების სახლში იმუშავებს უფასო აფთიაქი, სამრეცხაო, ფეხსაცმლის სწრაფი შეკეთებისა და ქიმწმენდის პუნქტი, საპარიკმახერო.

სათნოების სახლი თანადგომას აღმოუჩენს პატიმრებს იმ გადაუდებელი საქმეების მოგვარებაში, რის გაკეთებაც, გასაგები მიზეზების გამო, მათ დღეს არ შეუძლიათ, მისწერს წერილებს პატიმრებსა და ჯარისკაცებს, რომელთაც ესაჭიროებათ ურთიერთობის ამგვარი ფორმა...

ყველა მსურველს შეეძლება სათნოების სახლში მოიყვანოს თავისი ხანდაზმული მშობელი თუ თვითონ სადმე უწევს გამგზავრება და არ სურს გზაში გააწვალოს მოხუცი ან მისი თან წაყვანა ვერ ხერხდება.

ახალგაზრდა დედას შეეძლება სათნოების სახლში მოიკითხოს თავისი დაკარგული შვილი, ხოლო ნებისმიერ გამვლელს — აცნობოს სათნოების სახლს ბავშვის ადგილსამყოფელი.

ჩვენი ვარაუდით, სათნოების სახლს უნდა ჰქონდეს კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა: ულუკმაპუროდ დარჩენილ ხანდაზმულებს, სურვილის შემთხვევაში, ექნებათ საშუალება თავისი შესაძლებლობების ფარგლებში აქ რაიმე საქმე აკეთონ. ამასთან, მნიშვნელობა იმას კი არ ექნება, რის გაკეთებას მოახერხებენ ხანდაზმულები, არამედ იმას, რომ საკუთარი შრომით მოიპოვებენ საარსებო მინიმუმს და თავს შეურაცხყოფილად არ იგრძნობენ.

სათნოების სახლი შესაძლებლობების ფარგლებში ყველას დაეხმარება. ერთი შეხედვით, ეს ძალიან ხმამაღალ ნათქვამს ჰგავს, რადგანაც ცხადია, რომ იგი ვერ ჩაერევა აღმასრულებელი, სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციებში. მაგრამ თვით ამგვარი ორგანოების კომპეტენციაში შემავალი სათხოვარით მოსულთათვისაც კი, სათნოების სახლს უნდა ეყოს ნუგეში და თანაგრძნობა... და ესეც ხომ თავისთავად დახმარებაა.

**— იცხოვრებენ თუ არა მუდმივად სათნოების სახლში ჩვენი გაჭირვებული თანამოძმეები, გაივლიან თუ არა აქ მკურნალობის კურსს?**

— როგორც წესი, არა! სათნოების სახლი არც ერთ ქვეყანაში არ წარმოადგენს რომელიმე სოციალური ჯგუფისათვის განკუთვნილ საცხოვრებელ ბინას; იგი წესისამებრ, არც სტაციონარის ფუნქციებს ასრულებს, თუმცა მას ეყოლება მედდა ან ექიმი. მიუხედავად ამისა, პირველ ხანებში, მცირეოდენი გამონაკლისის დაშვება მოგვიწევს, ჩვენ ვაპირებთ გადმოვიყვანოთ სათნოების სახლში ქალბატონი მარიამ აფხაზავა, რომლის ხვედრზე საზოგადოებრიობა ინფორმირებულია. ორდენის დახმარებით მას დღეს უკვე აქვს პასპორტიცა და პენსიაც. აი, ბინის პრობლემის მოგვარება კი ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ასე რომ, პრობლემის გადაწყვეტამდე, ქალბატონი მარიამი, ჩვენი ვარაუდით, სათნოების სახლის ბინადარი უნდა გახდეს. არ არის გამორიცხული ანალოგიური ხასიათის სხვა გამონაკლისიც, თუმცა სისტემატური ხასიათი ამას, როგორც ითქვა, არ ექნება.

**— მწვავე ეკონომიკური კრიზისის პირობებში სათნოების სახლის სიკეთით სარგებლობის სურვილი, ბუნებრივია, ბევრს გაუჩნდება. ეს ალბათ დიდ პრობლემებს შეუქმნის სახლს.**

— უფრო მეტიც — რიგ უხერხულობასთანაც იქნება დაკავშირებული. ალბათ უკმაყოფილონიც გაუჩნდებიან სათნოების სახლს. მაგრამ, როგორი რთულიც არ უნდა იყოს, სათანადო მუდმივმოქმედ კომისიას მაინც მოუწევს იმ პრინციპის დადგენა, რაც უფასო მომსახურებას უნდა დაედოს საფუძვლად. ამოსავალი აქ, ბუნებრივია, მხოლოდ პიროვნების სოციალური მდგომარეობა იქნება. ვვარაუდობ, უხერხულია იმის აღნიშვნაც კი, რომ სათნოების სახლი არ განასხვავებს ადამიანებს ეროვნებისა და რწმენის მიხედვით.

**— როგორი იქნება სათნოების სახლის სტრუქტურა?**

— მანამდე, ვიდრე არ გვექნება სრული სურათი ჩვენს მიერ ჩამოთვლილი ფუნქციებიდან რომლის შესრულებას აზრხებს სათნოების სახლი (და რა მოცულობით თვითოეულ მათგანს) მისი სტრუქტურის შესახებ ლაპარაკი ნაადრევად გვეჩვენება; ფუნქციათა ჩამოყალიბება კი სტრუქტურის მოხაზვაში შეგვიწყობს ხელს.

რა თქმა უნდა, შეიძლება ვილაპარაკოთ სათნოების სახლების ევროპულ ან ამერიკულ მოდელზე, მაგრამ ეს ჩვენს შემთხვევაში მხოლოდ წყლის ნაყვა იქნება. სახლის სრული დატვირთვით ამუშავებისათვის პირველყოვლისა სათანადო ფართობია საჭირო. ბატონ ზვიად გამსახურდიასა და რესპუბლიკის პრემიერის განკარგულებები ამგვარი ფართობის სრულ იურიდიულ გარანტიას იძლევიან.



მაგრამ მთავრობის მიერ ასე უშურველად გაღებული ნაგებობიდან ყოველი ცალკეული ოთახის ფიზიკური მოპოვებისათვის, როგორც ჩანს, დიდი ბატალიები მოგველის. ასე რომ, რესპუბლიკის ხელმძღვანელთა ამ ჭეშმარიტად ისტორიული გადაწყვეტილების პრაქტიკული რეალიზაციისათვის დიდი წინააღმდეგობების გადალახვა მოგვიწევს, რაშიც სამთავრობო ორგანოების გარდა მთელი საზოგადოებრიობის მხარში ამოდგომა დაგვჭირდება.

**— ვინ იმუშავებს სათნოების სახლში, ვინ განაგებს მას?**

— სათნოების სახლის სრული ამოქმედების პირობებში უპირველესად აქ იმუშავებენ სპეციალისტები, რომელთა გარეშე სახლი უბრალოდ ვერ იფუნქციონირებს: მზარეული, დალაქი, მრეცხავი, მეაფთიაქე, დამლაგებელი, ფსიქოლოგი, ექიმი, დარაჯი, ბიბლიოთეკარი. სათნოების სახლის მთელ საქმიანობას უხელმძღვანელებს სახლის წინამძღოლი (ან დიასახლისი), რომელიც, ჩვენი აზრით, უთუოდ ქალი უნდა იყოს — მანდილოსანი, რომელსაც არც ორგანიზატორული მონაცემები აკლია და არც სხვათა ტკივილის გათავისების სწავლება დასჭირდება. ყველა ეს თანამდებობა არა მხოლოდ ანაზღაურებადი უნდა იყოს, არამედ, ჩემი ვარაუდით — მაღალანაზღაურებადიც. სხვა თანამდებობები, ვფიქრობთ, სათნოების სახლში არ არის საჭირო, რადგანაც სახლის ყველა სხვა დანიშნულებისათვის მოხალისეთა ძალები შეიძლება იქნას გამოყენებული. ამგვართა რიცხვი კი ძალზე ბევრია. მათ გასული წლის მაისიდან დღემდე განვლილ პერიოდში ქაშუეთის ტაძართან დაადასტურეს მზადყოფნა უანგაროდ გაუწოდონ ხელი გაჭირვებულთ. მომავალში კი ქველმოქმედთა რიცხვის ზრდა იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად მოიპოვებს ავტორიტეტს სათნოების სახლი ხალხში.

სათნოების სახლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას (წინამძღოლის შერჩევიდან დაწყებული სისტემატური საფინანსო რევიზიით დასრულებული) წარმართავს წარმომადგენლობითი მუდმივმოქმედი კომისია, რომელსაც ასოციაციის პრეზიდიუმმა გადასცა სათნოების სახლთან დაკავშირებული მთელი უფლებამოსილება. ასე რომ, ჩემს მიერ აქ გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ამ კომისიის მიერ რაიმე მიზეზით შეიძლება არც იქნას გათვალისწინებული.

**— თუ შეიძლება უფრო დაწვრილებით ამ კომისიის შესახებ.**

— ჩემი აზრით, მართლაც აუცილებელია იმ ადამიანთა სრული შემადგენლობით დასახელება, ვინც ეს უზარმაზარი ფიზიკური და ზნეობრივი ტვირთი აიღო საკუთარ თავზე (მარტო სათნოების სახლის საქმიანობის უმთავრესი მიმართულებების განსაზღვრა რად ღირს, მით უფრო, როცა კომისიის თითოეულ წევრს ექნება თავისი კონკრეტული უბანი, რომელსაც იგი უხელმძღვანელებს). მაშ ასე: მამა იობი, რობერტ პეტრიაშვილი, ავთანდილ იმნაძე, თამარ გლურჯიძე, ეთერ ნიგურიანი, პაპუნა თოლორაია, ვაჟა ლალებაშვილი, ვაჟა კაკაბაძე, ნონა თამასხანოვი, მანანა ძოძუაშვილი, კობა კობიძე, თამაზ გუგუშვილი. აი, სია ადამიანებისა, ვის ხელშიც გადადის სათნოების სახლის მართვის ყველა სადავე.

**— კომისიის წევრთა შორის თქვენი გვარი არ ფიგურირებს.**

— არა მხოლოდ ჩემი. იქ შეყვანილი არ არის ჩვენი ასოციაციის პრეზიდიუმის ზოგიერთი სხვა წევრიც. მიზეზი რამდენიმეა: მოხდა ისე, რომ უფალი ჩვენი უშუალო ქმედებითა და რესპუბლიკის ხელმძღვანელთა პრაქტიკული ხელშეწყობით აფუძნებს სახლს, რომლის არსებობა, სრულიად საქართველოს ნება-სურვილს წარმოადგენს. უფრო მეტი პრეზიდიუმის წევრებს არც გვინატრია!

**უმასპინძლებს სასტუმრო „თბილისი“**

**იმ ორგანიზაციათა რიცხვს, რომელთაც ხანდაზმული ინვალიდების ჭირ-ვარამის გაზიარების სურვილი გამოთქვეს, სასტუმრო „თბილისის“ მშრომელთა კოლექტივიც შეუერთდა. ამ უკანასკნელთა მოსაკითხს ჩვენს ყველაზე უქონელ თანამოქალაქეებს ასოციაცია „კათარზისის“ სათნოების ორდენის წევრები ამ შაბათს ბინებზე მიაწვდიან.**

**სათნოების ორდენი, ჰუმანიტარული ასოციაცია „კათარზისი“.**

**სათნოების რესპუბლიკური სახლის ანგარიშის ნომერია 000700967 მრეწვმშენბანკის ქალაქის საოპერაციო სამმართველო. კოდი — 52192.**

მაქვს სუბიექტური მიზეზიც: ნებისმიერი საქმე, როგორც წესი, მაინტერესებს მანამ, ვიდრე იგი მექანიკურ ქმედებად იქცევა ჩემთვის. ასე დამემართა სახალხო განათლების სამინისტროშიც, რომელიც დღეს ჩემს ძირითად სამსახურად ითვლება. ყოველგვარი დამალვის გარეშე განვუცხადე სამინისტროს ხელმძღვანელობას, რომ საქმე, რომელსაც დღეს იქ ვაკეთებ, დაყვანილია მექანიკურ ქმედებამდე და აღარ მაინტერესებს. ისიც დავუმატე. თუ სხვა საქმისათვის (ჩემთვისაც რომ იქნება საინტერესო) არ ვჭირდები სამინისტროს, სადმე თავად გამოვნახავ რაიმეს-მეთქი. ასე რომ, მე ვიქნები ზემოთ დასახელებული კომისიის გვერდით მანამ, ვიდრე ვიგრძნობ, რომ მას ვჭირდები. რაც შეეხება ქველმოქმედებასა და ამ გზით სულიერ განწმენდას, ამის მისაღწევად, დამეთანხმებით, არც კომისიის წევრობაა აუცილებელი და არც სათნოების სახლის ხელმძღვანელობა.

კომისიის წევრთაგან ხუთი უზენაესი საბჭოს წევრია, ორი — მინისტრი, ერთი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე და ა. შ. არც მათ და არც სხვა წევრებს ჩემი წარდგენა საზოგადოებრიობის წინაშე არ სჭირდებათ. შესაძლოა, ვინმეს გაუჩნდეს აზრი, რომ ზემოაღნიშნული ადამიანები, ძირითადი სამსახურით დაკავებულობის გამო, ვერ შეძლებენ სათანადოდ გაუძღვნენ საქმეს. ჩემი ღრმა რწმენით, ამგვარი შიში უსაფუძვლოა. მაპატიონ კომისიის პატივცემულმა წევრებმა ამგვარი პირდაპირობა, მაგრამ მათ არც სათნოების სახლის „მფარველობის" ფუნქცია ეკისრებათ (ეს მათ სხვათაშორის ჩემზე უკეთ იციან), რადგანაც სათნოების სახლს ადამიანთაგან არავის მფარველობა არ დასჭირდება. სათნოების სახლისათვის, ჩვენ ყველანი, მიუხედავად საზოგადოებრივი მდგომარეობისა, რიგითები ვართ. საკეთებელი საქმე კი დიდზე —დიდია, ასე რომ, ყველანი, მიუხედავად ეროვნებისა, რწმენისა და ა. შ. პრაქტიკულად უნდა ამოვუდგეთ მხარში კომისიის წევრებს.

სათნოების ორდენს უკვე აქვს თავისი ანგარიში, ასე რომ, ფაქტობრივად იგი დამოუკიდებელი ორგანიზაციაა. ეს გარემოება, აგრეთვე სახლის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რიგი საკითხები, იურიდიულად განმტკიცდება რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით, რომლის პროექტიც მზადდება.

**— რა საშუალებებით იარსებებს სათნოების სახლი?**

— ეს კომისიამ უნდა გადაწყვიტოს. გზა კი ორია: მხოლოდ შემოწირულობები ან საქველმოქმედო თანხა პლუს დამხმარე მეურნეობა და სპეციალიზირებული კომერციული საქმიანობა.

**— შეიძლება ჩავთვალოთ თუ არა, რომ ჩვენ უკვე გვაქვს სათნოების სახლი?**

— ბუნებრივია, არა! გვაქვს მხოლოდ რამდენიმე ოთახი, რომელშიც საქმის უმნიშვნელო ნაწილი შეიძლება გაკეთდეს. შენობაში დღეს რიგი ორგანიზაციებია განლაგებული, რომელთათვისაც ქალაქისა და რაიონის აღმასრულებელმა ორგანოებმა მეტი ოპერატიულობით უნდა გამოძებნონ შესაფერისი ფართობი. შემდგომ ამისა, უნდა დაიწყოს შენობის ცალკეული ნაწილების სათანადო სახეცვლილება, რათა ოქტომბრის თვეში მაინც მოგვეცეს სათნოების სახლის ამოქმედების საშუალება.

**საუბარი მიჰყავდა**
**მანანა მიქაძეს**

გთხოვთ ჰონორარი გადარიცხოთ სათნოების სახლის ანგარიშზე.

**გასულ შაბათს, 23 მარტს, სათნოების სახლში (დავით აღმაშენებლის № 121) შედგა სათნოების რესპუბლიკური სახლის საორგანიზაციო კომიტეტის წევრთა პირველი შეხვედრა პრესისა და ტელერადიომაუწყებლობის მუშაკებთან.**

# სხვა გაზეთებიდან

### ხელისუფლების კრიზისი სახეზეა

ასე შეაფასა საკავშირო ხელისუფლების დღევანდელი მდგომარეობა ლენსოვეტის თავმჯდომარემ, სსრკ სახალხო დეპუტატმა ანატოლი სობჩაკმა „არგუმენტი ი ფაქტისთვის" (№ 12, 1991 წ.). მიცემულ ინტერვიუში.

როცა გორბაჩოვს ჯერ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარედ, შემდეგ კი პრეზიდენტად ირჩევდნენ, — ამბობს იგი, — ბევრი ფიქრობდა, რომ მას ალტერნატივა არა ჰყავდა. მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით მეტად ილეოდა მის სახელთან დაკავშირებული იმედები. გორბაჩოვს ჯერ კიდევ I ყრილობაზე უნდა აერჩია, ვისთან იქნებოდა — ხალხთან თუ პარტიასთან. და მან სკკპ აირჩია. გვნსეკმა სძლია პრეზიდენტს და ეს ტრაგედიაა როგორც მისთვის, ისე ქვეყნისათვის.

—მაგრამ ხელისუფლება ხომ სსრკ უზენაესი საბჭოს ხელშია!.. — შეახსენებს კორესპონდენტი, რომელსაც სობჩაკი ასე პასუხობს: „თუ ღმერთი გწამთ, რა ხელისუფლებას შეიძლება ჰქონდეს მოშინაურებული ჯიბის პარლამენტს?"...

### პოპოვი, „პერესტროიკა" და... „სოლიდარნოსტი"

დროა შევქმნათ სკკპ-ს ოპოზიციური მასობრივი პარტია, — განაცხადა მოსსოვეტის თავმჯდომარემ გავრილ პოპოვმა „კომსომოლსკაია პრავდასთვის" (№ 68, 1991 წ.) მიცემულ ინტერვიუში, რომელშიც იგი საბჭოთა კავშირის „პერესტროიკის" მოვლენებს აკრიტიკებს. დღეს ეს — ხაზს უსვამს პოპოვი— ოპოზიციური პარტიის შექმნა — ძალზე სჭირდება სსრკ-ში დემოკრატიულად განწყობილ მილიონობით ადამიანს. ჩვენს ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია რაღაცით პოლონეთის 80-იან წლებს მოგვაგონებს, როცა ცენტრალური პარტაპარატის შეტევას ხალხმა „სოლიდარნოსტის" შექმნით უპასუხა.

### ვინ წავა კომპრომისზე

სსრკ მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება, რომლითაც 1991 წლის 26 მარტიდან 15 აპრილამდე მოსკოვში იკრძალება მიტინგები, პიკეტები, ქუჩაში სვლები და დემონსტრაციები („კომსომოლსკაია პრავდა", № 68, 1991წ.) ამ დადგენილების უზრუნველყოფა დაევალა სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტროს, და სსრკ სუკ-ს, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

ამ დროს, მოსსოვეტის გადაწყვეტილებით 28 მარტს, რსფსრ რიგგარეშე სესიის გახსნის აღსანიშნავად, მოსკოვში მიტინგი უნდა გაიმართოს. ვნახოთ, შესძლებენ თუ არა მხარეები კომპრომისის დაძებნას.

### ეი, მისტერ, იყიდე ვარდები!

„კომსომოლსკაია პრავდას" (№ 68, 1991 წ.) ცნობით, სწორედ ამ სიტყვებით შეხვდნენ მოსკოვის ცენტრალურ ბაზარში მისულ ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ პრეზიდენტს რიჩარდ ნიქსონს კავკასიური ეროვნების (?!) ადამიანები.

მაგრამ პრეზიდენტს არაფერი უყიდია. თუმცა საჩუქრები კი დიდი სიამოვნებით მიიღო, ოღონდ ისინიც შეარჩია. მაგალითად, ნიქსონმა უარი თქვა პამიდვრებსა და ფორთოხლებზე, სამაგიეროდ დიდად მადლიერი დარჩა ყვავილების თაიგულის, ერთი ბოთლი სომხური კონიაკისა და მას მოყოლებული „ზაკუსკისათვის"...

სხვათაშორის, „კომსომოლსკაია პრავდა" იმასაც იტყობინება, რომ 25 მარტს რიჩარდ ნიქსონი მისი თხოვნით მიიღო სსრკ სუკ-ის თავმჯდომარემ ვ. კრიუჩკოვმა. იმავე დღეს შედგა ნიქსონის შეხვედრა სსრკ უსაფრთხოების საბჭოს წევრთან, სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრთან ბ. პუგოსთან.

### მეშახტეებით ინტერესდებიან... უცხოპლანეტელები

ალბათ, ასე თუ ახსნი ახლახან შახტ „ენისეისკაიას" თავზე ამოუცნობი მფრინავი ობიექტის გამოჩენას, — აღნიშნავს „კომსომოლსკაია პრავდა" № 68, 1991 წ. მრავალრიცხოვანი თვითმხილველის სიტყვებით, საღამოს მეშახტეთა ქალაქ ჩერნოგორსკის თავზე გამოჩნდა მანათობელი სფერო სამი პროჟექტორივით სხივით.

უცხოპლანეტელების ვიზიტი ხანგრძლივი არ ყოფილა. მათ ერთი ორჯერ „მოათათუნეს" თავიანთი მანათობელი „თათები" შახტ „ენისეისკაიას" მიდამოებში და გაუჩინარდნენ. მეშახტეთა ბედი კი ისევ მიწიერი ძალების ხელში დარჩა.

### „ვზგლიადი" ციმბირშია

დიახ, ცენტრალური ტელევიზიის ყოფილი პროგრამა „ვზგლიადი" ციმბირშია („იზვესტია" № 27, 1991 წ.) ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ტელეკომპანიების დამოუკიდებელი ასოციაციის შეკვეთით „ვზგლიადის" ყოფილმა წამყვანმა ვ. მუკუსიევმა მოამზადა ამავე სახელწოდების სამსაათიანი პროგრამა. მასში შევიდა საუბრები ოლეგ კალუგინთან, ტელმან გდლიანთან, ახალგაზრდა ამერიკელ კონგრესმენებთან; მოსკოვში დემოკრატების მიერ მოწყობილი მიტინგის რეპორტაჟი, ბორის ელცინის გამოსვლა კინოს სახლში... პროგრამას ორი დღის მანძილზე უჩვენებდნენ ანგარსკისა და უსოლიასიბირსკის ტელეარხებით, ის ნახეს ნოვოსიბირსკისა და კრასნოიარსკის მცხოვრებლებმა. დამოუკიდებელი ასოციაციის პრეზიდენტის გ. სემიონოვის თქმით, ეს არის ციმბირის დამოუკიდებელი ტელევიზიის პირველი აქცია.

### გერმანია ითხოვს... ჰონეკერს

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრმა კინკელმა ჰესენის რადიოსათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ ცოტა ხნის წინათ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ხელმძღვანელის ერიხ ჰონეკერის გერმანიის ხელისუფლების დაუკითხავად საბჭოთა კავშირში გაყვანა სხვა არა არის რა, თუ არა „საერთაშორისო სამართლისა და გერმანია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების დარღვევა". მან მიუთითა ჰონკერის დაბრუნების აუცილებლობაზე და ხაზი გაუსვა, რომ გერმანული კანონმდებლობა ადამიანების ჰუმანური მოპყრობის გარანტიას იძლევა („იზვესტია", № 42, 1991 წ.).

### უგაზეთო იტალია

სწორედ ასეთი იყო იგი 1991 წლის 24 მარტს, როცა აქ არც ერთი (კოოპერატიულის გარდა) გაზეთი არ გამოვიდა. („იზვესტია", № 72, 1991 წ.) იტალიელ ჟურნალისტთა პროფკავშირებმა რომლებმაც 24-საათიანი გაფიცვა გამოაცხადეს, პრესის მუშაკთა შრომის პირობების გაუმჯობესება მოითხოვეს. წლის დასაწყისიდან ეს მეექვსე ასეთი გაფიცვაა. წინა ხუთიც გაზეთების მუშაკთა სოციალური პირობების გაუმჯობესების მიზნით მოეწყო.

# თანხმობის ტყე-პარკის მშენებლები



დედაქალაქის ხრიოკი შემოგარენის გამწვანება-გატყიანებას საუკუნის ისტორია აქვს. თბილისელ მეტყევეთა, მწვანე მშენებლობის მესვეურთა და ბუნების სხვა ქომაგთა მეცადინეობით ასეულ ათასობით ნერგია დარგული და გახარებული...

რაც შეეხება თანხმობის ტყე-პარკს, საქართველოს ეროვნული თანხმობის ასოციაციამ და საქართველოს მწვანეებმა მას სხვა მისიაც დააკისრეს: მისი მშენებელი, ქართველი იქნება ის თუ არაქართველი, ასოციაციელი თუ პარტიული, საქართველოს აწინდელ რთულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში უნდა ესწრაფოდეს დიალოგს, თანხმობას, ურთიერთგაგებას, ხოლო 31 მარტის რეფერენდუმში გამოხატავს ერთგულებას 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისადმი და ბოლომდე ერთგულად იბრძოლებს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

23 მარტს, შაბათს, თანხმობის ტყე-პარკისათვის ასობით თბილისელი მოქალაქე გამოვიდა. აქ იყვნენ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბატონი ნემო ბურჭულაძე, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი, ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე. ჯვრის მონასტრის წინამძღვარი მამა ანტონი, ალგეთის მთავარანგელოზის ტაძრის წინამძღვარი მამა ნიკოლოზი, მწერალი და კრიტიკოსი ბატონი აკაკი ბაქრაძე, სხვადასხვა



პარტიების, ასოციაციების ხელმძღვანელები და წევრები, თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური თეატრის და გრიბოედოვის სახელობის რუსული თეატრის კოლექტივები, თბილისელ ქურთთა საზოგადოება „რონაის" წარმომადგენლები, უმაღლესი სასწავლებლების ქართველი და არაქართველი სტუდენტები, ეროვნული გვარდიისა და ლეგიონ „შევარდენის". ჯარისკაცები და, რა თქმა უნდა, ამ საქმის მეთავენი და მასპინძლები — თბილისის სატყეო მეურნეობისა და მწვანე მეურნეობის მუშაკები, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ბუნების დაცვისა და ეკოლოგიის კათედრის თანამშრომლები...

ერთი სიტყვით, გაერთიანებული შრომა-გარჯით ამ დღეს 500 კაცმა დარგო ასობით ხე-მცენარე, ფიჭვი, კიპაროსი, კოპიტი. მათ შორის წიგნის მაღაზიის გამგე გოგი სიხარულიძემ — 10 ხე, „შევარდენის" ლეგიონის წევრმა ფატი ბურდულმა — 12, ტექნიკური უნივერსიტეტის დოცენტმა რამაზ ჭყოიძემ — 8, ინჟინერმა გურამ რაზმაძემ — 11, პროფესორმა მირიან გვრიტიშვილმა — 12, გამომცემლობა „ნაკადულის" რედაქტორმა ვახტანგ ცოტნიაშვილმა — 12, ერთმა ოჯახმა, გურამ მანანა და ლევან თამარაშვილებმა — 18, ამ სტრიქონების ავტორმა — 2, დანარჩენი დრო ინფორმაციის აღებას და სურათის გადაღებას დასჭირდა...

მიტროპოლიტმა კონსტანტინემ, რომელიც პროფესიით მეტყევე-



ინჟინერია, მთელი 21 წელიწადი ტყის აღდგენა-გაშენებას ემსახურებოდა და ამ დღეს მრავალი ნერგი დარგო, ჩვენთან საუბარში თქვა: „თვითონ ღმერთი ლოცავს იმ საქმეს, რომელიც გულით კეთდება და ერისა და ქვეყნის უკეთეს მერმისს ემსახურება".

**ზვანჯი მანია.**

**ფოტო ავტორისა და ელგუჯა ნადარეიშვილისა.**



... „არგო“.

## ჭადრაკი

### ნონა კვლავ პირველია

იუგოსლავიაში არის ერთი კარგი ტრადიცია: 1965 წლიდან ბელგრადში სისტემატურად ეწყობა მოჭადრაკე ქალთა საერთაშორისო ტურნირი. მასპინძლები მას ქალთა საერთაშორისო დღეს 8 მარტს უძღვნიან. ამ პრესტიჟულ ტურნირში მონაწილეობა ყველა მოჭადრაკე ქალის ოცნებაა. როგორც წესი, ორგანიზატორები საასპარეზოდ მსოფლიოს ცნობილ დიდოსტატებსა და ოსტატებს იწვევენ.

ქართველი დიდოსტატები ყოველთვის იყვნენ ტურნირის სასურველი მონაწილენი. მათი მებრძოლი სული და თამაშის მაღალი კლასი ეშხსა და ლაზათს მატებდა ტრადიციულ ასპარეზობას. ხშირად ჩვენები პირველნიც იყვნენ.

1971 წელს ნონა გაფრინდაშვილმა ამ ტურნირისთვის დღემდე გაუმეორებელი „რეკორდი“ დაამყარა: ყველა, 13 პარტია მოიგო! საერთოდ, სასიქადულო მოჭადრაკემ ხუთჯერ (1968, 1971, 1974, 1976, 1978 წწ.) გაიმარჯვა ბელგრადის ტურნირში, ერთხელ (1966 '.) პირველი-მეორე ადგილები გაიყო.

ორჯერ პირველი იყო ნანა ალექსანდრია (1969, 1979 წწ.), ერთხელ — ნინო გურიელი (1986 წ.). ერთხელაც (1990 წ.) ნინომ პირველი-მეორე ადგილები გაიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად იუგოსლავიაში რთული პოლიტიკური ვითარებაა, ბელგრადის ჭადრაკის მესვეურებმა მაინც გამართეს საიუბილეო, XXV ტურნირი. საასპარეზოდ 10 მოჭადრაკე მიიწვიეს: ნონა გაფრინდაშვილი, ახალგაზრდა დიდოსტატები ქეთევან კახიანი, მარგარეტ ვოისკა და შვიდი საერთაშორისო ოსტატი საბერძნეთიდან, რუმინეთიდან და იუგოსლავიიდან. სიძლიერის სკალით ტურნირი მე-12 კატეგორიის გამოვიდა (უმაღლესია მე-15 კატეგორია).

— ბრძოლა თავიდანვე დაიძაბა მოკლე სატურნირო დისტანციის გამო, — გვიამბობს მსოფლიოს ექსჩემპიონი. — სტარტზე ვერ ავაწყე თამაში, ვგრძნობდი პრაქტიკის ნაკლებობას. მართლაც, ნოვი-სადის საჭადრაკო ოლიმპიადის შემდეგ (ოლიმპიადა შარშან ნოემბერში გაიმართა) არსად მითამაშია. ხუთი ტურის დამთავრებისას მხოლოდ ორ-ნახევარი ქულა მქონდა. მაგრამ მომდევნო ოთხ ტურში სამ-ნახევარი ქულა მოვაგროვე და 6 ქულით პირველ ადგილზე გავედი. ფინიშზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩემთვის შეხვედრას ვოისკასთან, რომელიც ქულით მისწრებდა. ამ დროს უკვე სპორტულ ფორმაში ვიყავი და, ჩემი აზრით, პარტია კარგად მოვიგე.

საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვა ტურნირის დებიუტანტმა, 19 წლის ქეთევან კახიანმა, — განაგრძობს ნონა. — მან ხუთნახევარი ქულით მეორე ადგილი დაიკავა. ქეთევანი შესაშური მონდომებითა და შეუპოვრობით იბრძოდა. მან სამი პარტია წააგო. სამაგიეროდ, ყველაზე მეტი, ხუთი შეხვედრა მოიგო, მათ შორის ჩემთან.

მესამე-მეხუთე ადგილები გაიყვეს მარგარეტ ვოისკამ, ბერძენმა ანა-მარია ბოტსარამ და იუგოსლაველმა მარიანა მარიჩმა, ცნობილი დიდოსტატის ალისა მარიჩის ტყუპის ცალმა. თითოეულმა ხუთი ქულა დააგროვა.

აი ასე, მეშვიდედ მოიპოვა სასიქადულო ქართველმა მოჭადრაკემ ბელგრადის ტურნირის პირველი პრიზი.

### ნიჭმა თავისი გაიტანა

ამას წინათ ესპანეთის ქალაქ ლინარესში დამთავრდა დიდოსტატთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. იგი მანამდე არნახული სიძლიერისა (მე-17 კატეგორიის) იყო.

პირველობას ეცილებოდა ერთმანეთს 14 დიდოსტატი, რომელთა შორის იყვნენ მსოფლიო ჩემპიონი გარი კასპაროვი, ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი, მსოფლიო პირველობის პრეტენდენტები იან ტიმანი (ჰოლანდია), ვიშვანატანა ანანდი (ინდოეთი), ვასილ ივანჩუკი, ბორის გელფანდი და არტურ იუსუპოვი, აგრეთვე ორგზის სსრ კავშირის ჩემპიონი ალექსანდრე ბელიავსკი, ლიუბომირ ლიუბოევიჩი (იუგოსლავია), ჯონათან სპილმენი (ინგლისი) და სხვები.

თქმა არ უნდა, უაღრესად დაძაბული ბრძოლა ბოლომდე გრძელდებოდა. მაგრამ პირველი სენსაცია პირველსავე ტურში მოხდა, როცა 22 წლის ივანჩუკმა კასპაროვს ფარ-ხმალი დააყრევინა. მერე მან დაამარცხა კარპოვი, გელფანდი და ანანდი. ერთი სიტყვით, ივანჩუკმა დაუმარცხებლად, 13-დან 9,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა და ჯილდოდ ახალთახალი ავტომანქანა „ფოლსვაგენპოლო“ მიიღო.

ვასილ ივანჩუკის შთამბეჭდავმა გამარჯვებამ მსოფლიო აალაპარაკა. მიმომხილველები ასახელებენ მას კასპაროვის ყველაზე შესაძლებელ მეტოქედ მსოფლიო პირველობის 1993 წლის მატჩში.

გარი კასპაროვმა და ანატოლი კარპოვმა მაღალი შეფასება მისცეს ახალგაზრდა დიდოსტატის ერუდიციას, უშიშარ ხასიათსა და შემართებას. საინტერესოა, როგორ ახსნეს მათ თავიანთი შედეგები. კასპაროვმა, რომელმაც 9 ქულით მეორე ადგილი დაიკავა, თქვა: მეწყინა, რომ კენჭისყრისას არ შემხვდა ჩემი იღბლიანი 13 ნომერი და თავიდან უინტერესოდ ვთამაშობდი. მერე კი ველარ დავეწიე ლიდერს. კარპოვმა, რომელმაც 6,5 ქულით მეშვიდე-მერვე ადგილები გაიყო, არ დამალა: ბრძოლაში დაღლილი ჩავებიო (მხედველობაში ჰქონდა კასპაროვთან წაგებული მატჩი).

მესამე ადგილი წილად ხვდა ბელიავსკის — 8 ქულა. შემდეგ მოდიან: იუსუპოვი, სპილმენი — 7,5-7,5, ვალერი სალოვი — 7, კარპოვი, ტიმანი — 6,5-6,5, ანანდი, ლიუბოევიჩი, მიხეილ გურევიჩი — 6-6 და ა. შ.

ვასილ ივანჩუკი დაიბადა 1969 წლის 18 მარტს მოლდავეთის ქალაქ ბერეჟანში. მამა იურისტი ჰყავს, დედა — ფიზიკოსი. ჭადრაკი მამამ ასწავლა, როცა 6 წლის იყო. დაწინაურდა მოსწავლეთა ტურნირებში. ამჟამად პროფესიონალი მოჭადრაკეა. სწავლობს ლვოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭადრაკის სპეციალიზაციის მესამე კურსზე. ამას წინათ დაოჯახდა: ცოლად შეირთო ცნობილი ყაზანელი დიდოსტატი, 19 წლის ალისა გალიამოვა.

ჭადრაკის სამყარომ ერთხმად აღიარა ვასილი ივანჩუკის დიდი ნიჭი. არაფერია გასაკვირი, რომ მიმომხილველები მას გარი კასპაროვის მომავალ მეტოქედ მიიჩნევენ. თავად ვასილი ამბობს: კასპაროვამდე ჯერ კიდევ შორსააო. მაგრამ ალბათ არც ისე შორს, როგორც იგი ფიქრობს.

**თენგიზ გიორგაძე,**
**საერთაშორისო არბიტრი.**

## ქრონიკა. ინფორმაცია. განცხადება

### საქართველოს ეროვნულ-საზოგადოებრივი მოძრაობა „თანადგომის“ განცხადება

ამა წლის 30 მარტს, შაბათს 14-00 საათზე, თბილისში ჭადრაკის სასახლეში (მ. კოსტავას ქუჩა № 37) გაიმართება — საქართველოს ეროვნულ-საზოგადოებრივი მოძრაობა „თანადგომის“ დამფუძნებელი ყრილობა. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ მოძრაობა „თანადგომა“ წარმოადგენს დამოუკიდებელი საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და წარმოება-დაწესებულებების, ნებაყოფლობით, თანასწორუფლებიან გაერთიანებას საკოორდინაციო საბჭოს სახით, რომელიც მიზნად ისახავს, ეროვნულ-ზნეობრივი ტრადიციების აღდგენისა და დამკვიდრების საფუძველზე, დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, მიაღწიოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალების, მთელი ერის კონსოლიდაციას, მხარი დაუჭიროს მხოლოდ ისეთ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებს, რომლებიც გამოხატავენ ერის ინტერესებს და ძალუძთ ქართველი ხალხი მიიყვანონ იმ ტაძრამდე, რომელსაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა ჰქვია.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობის მსურველ იმ ორგანიზაციებს, რომლებმაც რაღაც მიზეზების გამო ვერ მიიღეს ჩვენი წერილი, ვთხოვთ აირჩიონ სამ-სამი დელეგატი. „თანადგომის“ წესდებას მიიღებენ რეგისტრაციის დროს.

**საორგანიზაციო კომიტეტი**

### საქართველოს ეროვნული კონგრესის წევრთა საყურადღებოდ

ა. წ. 29-30 მარტს საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის შტაბ-ბინაში გაიმართება საქართველოს ეროვნული კონგრესის მორიგი IV სესია. სხდომა დაიწყება 11.00 საათზე. კონგრესმენთა რეგისტრაცია 10.00 საათიდან. დღის წესრიგშია:

**1. საორგანიზაციო საკითხები,**

**2. მიმდინარე პერიოდის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ,**

**3. მიმდინარე პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ,**

**4. ჰააგას, ტალინსა და რიგას მივლინებულ კონგრესმენთა ანგარიშები,**

**5. სამი კონგრესის სახელშეკრულებო დოკუმენტების (რატიფიკაცია.**

### ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის ინფორმაცია

ამას წინათ შედგა ასოციაციის მთავარი კომიტეტის გაფართოებული სხდომა, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები. გადაწყდა, რომ მთავარი კომიტეტის წევრთა რაოდენობა განისაზღვროს 7-ით. სხდომამ მთავარი კომიტეტის შემადგენლობაში დატოვა შემდეგი წევრები: მთავარეპისკოპოსი თადეოზი (იორამაშვილი), ნიკოლოზ სამხარაძე, გია კერვალიშვილი, სიმონ წერეთელი, მამუკა ნიშნიანიძე, გია თევზაძე, ზაალ სიხარულიძე. სხდომაზე ცალსახად იქნა გამოკვეთილი ასოციაციის პოზიცია. ასოციაცია მხარს უჭერს ეროვნულ პარლამენტს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლაში, აგრეთვე აღნიშნული იყო, რომ ასოციაციისადმი არაკეთილმოსურნედ განწყობილი ადამიანები ცდილობენ მის გაიგივებას საქართველოს ჰელსინკის კავშირთან. ასოციაციის მთავარი კომიტეტი აცხადებს, რომ იგი არ დაუშვებს ჰელსინკის კავშირთან რაიმე დაპირისპირებას და აღნიშნავს: ჩვენი ორგანიზაცია არის არასამთავრობო, საზოგადოებრივი და ის შეიქმნა არა რომელიმე ორგანიზაციასა თუ საზოგადოებრივ ჯგუფთან დასაპირისპირებლად, არამედ კონკრეტული საქმის გასაკეთებლად, კერძოდ ადამიანის უფლებათა დაცვის 1948 წლის „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მიხედვით, რომელიც მიღებულ იქნა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე. ასოციაცია რეგისტრაციის შემდგომ რეგულარულად მიაწვდის საზოგადოებას ინფორმაციას მის მიერ გადადგმულ ყოველ ნაბიჯზე.

**ზაალ სიხარულიძე,**
**სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრესცენტრის ხელმძღვანელი.**

### პოლიტიკურ პარტიებს, ბლოკებსა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაერთიანებებს

საქართველოში დღეს მოქმედი პოლიტიკური პარტიების, ბლოკებისა და საზოგადოებრივ პოლიტიკური გაერთიანების ისტორიის შესასწავლად, ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაცია აპირებს შესაბამისი ლიტერატურის გამოცემას. გთხოვთ, მოგვაწოდოთ სათანადო მასალები შემდეგ მისამართზე: **თსუ II კორპუსი, პოლიტოლოგიის კათედრა,** ტელ: 22-54-36.

**ახალგაზრდა პოლიტოლოგთა ასოციაციის სათათბირო საბჭო.**

## ტრადიციული ტურნირი

თბილისის სპორტის სასახლე სამ დღეს მასპინძლობდა ნორჩ ძიუდოისტებს. მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების პრიზიორის, ევროპის მრავალგზის ჩემპიონის ანზორ კიკნაძის ხსოვნისადმი მიძღვნილმა მოსწავლეთა საერთაშორისო ტურნირმა კვლავაც დიდი ინტერესით ჩაიარა. გულშემატკივრებს საშუალება ჰქონდათ ენახათ საქართველოს, საფრანგეთის, გერმანიის, პოლონეთის, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები. როგორც მოსალოდნელი იყო, ბრწყინვალედ იასპარეზეს საქართველოს ნაკრების წარმომადგენლებმა, რომლებმაც 6 ოქროს, 5 ვერცხლისა და 12 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. წონითი კატეგორიების მიხედვით ამ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულები გახდნენ: 49 კგ — მიხეილ აბაშიძე (საქართველო); 53 კგ — უადუს სულთანოვი (სსრკ); 57 კგ — გოგიტა რევაზიშვილი (საქართველო); 62 კგ — გიორგი ვაზაგაშვილი (საქართველო); 68 კგ — მამუკა ღუზარაული (საქართველო), 75 კგ — ალექსანდრე ღვინიაშვილი (საქართველო); 83 კგ — დიმიტრი მოროზოვი (სსრკ); 90 კგ — იგორ ჟელუდკოვი (სსრკ); 90 კგ-ზე ზემოთ — ალეკო დავითაშვილი (საქართველო).

აღსანიშნავია, რომ ჭაბუკთა გარდა თბილისის სპორტის სასახლეში გოგონებმაც მოსინჯეს ძალა, რამაც ერთიორად გაზარდა ტურნირის ინტერესი. გოგონათა ტურნირში საქართველოს ნაკრების შედეგები უფრო მოკრძალებული გახლდათ, მაგრამ საპრიზო ადგილები მაინც ერგოთ წილად. ოქროს მედალი მოიპოვა თეა დონგუზაშვილმა (72 კგ-ზე ზევით), ვერცხლის — ანო ლომიძემ (72 კგ), ხოლო ქეთინო ბუკიაშვილს (52 კგ) ბრინჯაოს მედალი ხვდა წილად.

**ლიკა ბებია**

## ზურაბ ნაცვლიშვილი

ტკივილიანი გაზაფხულები მოუმრავლდა თბილისს. ღიმილი დააკლდა ჩვენს ქუჩებს, სევდა მოეძალა.

იმდენი კარგი ვაჟკაცი წავიდა ამ ბოლო წლებში ზეციური საქართველოსაკენ, გვიჭირს ნუგეშის სიტყვის მოძებნა.

ან რა ნუგეშის სიტყვას შეუძლია დაუყუჩოს შენს მშობლებს გაუსაძლისი ტკივილი...

ან რა ნუგეშის სიტყვას შეუძლია შეუშრალოს შენს ცოლს ცრემლი...

ან რა ნუგეშის სიტყვას შეუძლია მფარველობა გაუწიოს შენი ოთხი წლის ბოგონას...

ან რა ნუგეშის სიტყვას შეუძლია გაგვამხნევოს შენი მეგობრები, შენმა ტრაგიკულმა სიკვდილმა თავზარი რომ დაგვცა.

ვუცქერით ახლა ერთმანეთს მოულოდნელი უბედურებისაგან ცრემლგამშრალები და ხან ერთი ჩაილაპარაკებს, ხან მეორე... რა ბიჭი დავკარგეთ, რა ვაჟკაცი...

იქნებ ღმერთიც მართლა რჩეულებს ეძებს და ამიტომ წაგიყვანა თავის სასუფეველში, თუ მართლაც ასეა, მაშინ ვაი ჩვენ, უშენოგით ამქვეყნად დარჩენილებს.

მსუბუქი იყოს, ჩვენო ზურაბ, შენთვის საქართველოს მიწა.

**კოლეგები**

ახალგაზრდა ივერიელი
Общественно - политическая газета

ტელეფონები: მთავარი — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-50; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდება.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას 14, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხიშარაულის 29.

1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15

Наш индекс 68400

რედაქტორი ვერა ბალარჯიშვილი

რედაქციის მისამართია: ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.